[illegible]
ქალაქი [illegible]
[illegible]

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ.

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
თბილისი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტელეფონები:
ხელმძღვ.—თვისა 14—76, სტამბის—ღამისა—79

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 2 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 1921 Წ.

№ 98 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕ. ᲠᲔᲕ.-ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ. № 98

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘ

გუშინ, 1 ივლისს გაიხსნა წითელ მოსკოვში პირველი კონგრესი წითელი საერთაშორისო პროფკავშირებისა.

კომუნისტურ ინტერნაციონალს თავისი მესამე კონგრესის მუშაობა ჯერ კიდევ არ დაუსრულებია და იმავე წითელ მოსკოვში იწყება მსოფლიო პროლეტარიატის მეორე რიგის ორგანიზაციათა მუშაობა.

მსოფლიო მუშათა კლასი ეს ოთხი წელია, რაც რევოლიუციურ გზაზე შედგა და მან ისეთ შედეგებს მიაღწია, ისეთი გამარჯვებები იგემა, რაც სრულ იმედსა და რწმენას უნერგავს მას, რომ შორს აღარ არის ის დრო, როცა მსოფლიო პროლეტარიატის ნაწილები—ეკონომიური და პოლიტიკური—ერთ მსოფლიო მებრძოლ არმიაში გაერთიანდება და გადამწყვეტ ომს გამოუცხადებს მსოფლიოს ბატონ პატრონს, მსოფლიო ბურჟუაზიას და სოციალისტურ შემოქმედებას შეუდგება.

„მუშათა საქმე მხოლოთ მუშების ხელით გაკეთდება“—აი მთავარი, ძირითადი დევიზი მსოფლიო მუშათა მოძრაობისა.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მუშათა მოძრაობა ორ ტოტათ არის თავიდანვე გაყოფილი: ერთი სწარმოებს ეკონომიურ არსებულ წყობილების ნიადაგზე, ხოლო მეორე პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივს.

მაგრამ, რადგან „ბრძოლა ეკონომიური არის იმავე დროს ბრძოლა პოლიტიკური“, პირველი ფორმა გადადის მეორეში და ამნაირათ ბოლოს და ბოლოს ის ღებულობს ერთ საერთო სახეს—პოლიტიკურ სახელმწიფოებრივს.

აქედან უნდა ვიფიქროთ, რომ დღემდე ორ ტოტათ გაყოფილი მუშათა მოძრაობა ერთ ფორმაში-პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივში—გამოიხატება და ჩვენ მივიღებთ ერთ ჭეშმარიტს მუშურ ინტერნაციონალს. მუშათა მცირე ჯგუფის ინიციატივით შედგა პირველი ინტერნაციონალი, აგრეთვე პირველი პროფკავშირები ცალ-ცალკე ყველა ქვეყნებში და დღეს ვხედავთ, რომ მუშებისავე ინიციატივით დგება, როგორც კომუნისტური ინტერნაციონალი, ისე პირველი პროფკავშირების ინტერნაციონალიც და ორივე ამ ინტერნაციონალის განვითარების ტენდენცია მდგომარეობს იმაში, რომ ორივე რიგის ორგანიზაციამ მსოფლიო პროლეტარიატის პოლიტიკა შეერთებული ძალით აწარმოვოს. მუშა არის მთავარი ძარღვი და ელემენტი ორივე რიგის ორგანიზაციისა და ამით ისტორიულათ ტარდება ზემოთ მოყვანილი ძირითადი დევიზი: „მუშის საქმე მხოლოთ მუშის ხელით გაკეთდება“...

მაგრამ მუშათა კლასის და მასთან ერთათ მთელი კაცობრიობის სავალალოთ მუშათა მოძრაობას თან დაყვა ერთი საბედისწერო გამიზნული გარემოება—თვისება. ეს არის ერთი მხრით ბრძოლა უმთავრესათ ეკონომიურ ნიადაგზე, ხოლო მეორე მხრით პოლიტიკურზე, ანუ ბრძოლა ერთი მხრით უახლოეს მიზნებისათვის, ხოლო მეორე მხრით შორეულ საბოლოვო მიზნისათვის. ეს ერთი, მეორე—მუშათა კლასი, როგორც ნაწილი მთელი საზოგადოებისა როგორც მთელი იმყოფება განსაზღვრული ეპოქის იდეოლოგიის გავლენის ქვეშ, ე. ი. დამორჩილებულია, გაბატონებული კლასის მიერ როგორც ეკონომიურათ ისე იდეოლოგიურათაც.

აქედან, ამ მიზეზებით მუშათა მოძრაობაში ორი მიმდინარეობა შექმნა: ოპორტიუნისტული-სინდიკალისტური, და რევოლიუციურ-მარქსისტული და ეს მიმდინარეობა არსებობს როგორც ეკონომიური ხასიათის ორგანიზაციებში, ე. ი. პროფკავშირებში და კოოპერატივებში, ისე პოლიტიკურ პარტიებ შიაც და მუშათა ინტერნაციონალში.

იმ მიზნით, რომ ინტერნაციონალში გაერთიანდეს ეს ორი მიმდინარეობა, ზოგი ევროპიელ სოციალისტების მეთაურობით ეგრეთ წოდებული 2¹/₂ ინტერნაციონალიც კი დაარსდა ავსტრიის დედა ქალაქში, ვენაში. მაგრამ მუშათა კლასის, პროლეტარიატის ჭეშმარიტი პოლიტიკა მხოლოთ ერთია, ვით ერთია მისი კლასობრივი ინტერესი მისწრაფება და საზოგადოებრივი იდეალი.

ამიტომ მისი არც ტაქტიკა და არც ორგანიზაცია არ შეიძლება აგებულ იქნას ორ სხვა და სხვა მოწინააღმდეგე პრინციპზე.

ცხადია, უცილობლათ მისაღებია დებულება, რომ მუშათა კლასი უნდა გაერთიანდეს ერთ ორგანიზაციაში, რომ მან მიაღწიოს თავის საწადელს: განახორციელოს თავისი იდეალი და მით იხსნას მთელი კაცობრიობა.

ამნაირათ კითხვა მხოლოთ იმაშია, თუ რა ლოზუნგით, რომელი დროშით უნდა მოხდეს ეს: მეორე ყვითელი ინტერნაციონალის ან 2¹/₂-ის, თუ კომუნისტურის?

და აი, როცა ეს კითხვა წარმოსდგა მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის პროცესში, მუშათა მოძრაობა მეტი სიცხადით იჩენს ტენდენციას გაერთიანებისას. არა ყვითელი ინტერნაციონალის, არა 2¹/₂-ის, არამედ მხოლოთ და მხოლოთ კომუნისტურის.

ამას თვალნათლივ მოწმობს როგორც კომუნისტური ინტერნაციონალის ზრდის პროცესი, ისე წითელ პროფკავშირების ინტერნაციონალისა.

კომუნისტურმა ინტერნაციონალმა სულ რაღაც ორი წლის განმავლობაში თითქმის ყველა ქვეყნების ყველა სოციალისტური პარტიების დიდი უმრავლესობა შემოიკრიბა თავისი კომუნისტური წითელი დროშის ქვეშ.

უფრო საყურადღებო და გადამწყვეტია ის მოვლენა, რომ სულ ერთი წლის განმავლობაში წითელ პროფკავშირების საორგანიზაციო საერთაშორისო კავშირმა, რომელიც წითელ მოსკოვში დაარსდა 1920 წლ. ივნისში, შესძლო შემოეკრიბა თავისი წითელი დროშის ქვეშ მთელ მსოფლიოში შეკავშირებულ მუშების რიცხვის მესამედზე მეტი. შეკავშირებულ მუშათა რიცხვი დაახლოვებით 40 მილიონამდე ითვლება და აი აქედან დღეს წითელ კავშირებში გაერთიანებულია უკვე 14 მილიონამდე მუშა.

აქედან ცხადათ სჩანს, თუ როგორი სწრაფი, გამალებული ნაბიჯით მიდის ნება მსოფლიო მუშათა კლასი კომუნისტური წითელი დროშის ქვეშ გაერთიანებისაკენ.

მართალია ამ 14 მილიონიდან 7 მილიონს რუსეთის პროლეტარიატი შეადგენს, მაგრამ ეს ფაქტი კიდევ იმას მოწმობს, თუ რა ძლიერეს იარაღს წარმოადგენს გაერთიანებისათვის სახელმწიფოებრივი აპარატი, რომელიც რუსეთის დიდმა რევოლიუციამ რუსეთის მუშათა კლასს ჩააბარა. მსოფლიოს დანარჩენმა მუშებმა საწუხაროთ თავი მოიყარეს ქ. ამსტერდამში, სადაც გაერთიანების ნაცვლათ გათიშვისაკენ და დაქსაქსულობისაკენ ლტოლვა გამოიჩინეს, რაც აშკარათ მოწმობს იმ მოვლენას, რომ ყვითელ ინტერნაციონალს არ ძალუძს შექმნას მუშათა ერთიანობა.

ამნაირათ დაპირდაპირებულია დღეს მხოლოთ ყვითელი ამსტერდამი და წითელი მოსკოვი: პირველისკენ მართალია დღეს მუშათა უმრავლესობა დგას, მაგრამ სამაგიეროთ განვითარების ტენდენცია წითელი პროფკავშირების მხარეზეა.

ასეთი ტენდენციით სულდგმულობდა წარსულ ხანაში კომუნისტური პარტია ცალკე ქვეყნებში და დღეს ჩვენ ამ პარტიის მხარეზე ვხედავთ აღნიშნულ ქვეყნების მთელ მუშათა კლასს.

საბუთი გვაქვს ვიფიქროთ და ვერწმუნდეთ, რომ ასევე მოხდება, როგორც კომუნისტურ ინტერნაციონალის შესახებ, ისე წითელ კავშირების შესახებაც, ვინაიდან მუშათა კლასის იდეალი ეს მხოლოთ კომუნიზმია.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ

„ზემო სილეზია“ „შიდა ლიტვაში“.

უკანასკნელ ომამდე მთელი ასი წლის განმავლობაში საერთაშორისო კონფლიქტების კვანძი იყო „აღმოსავლეთის საკითხი“.

კაპიტალისტების შეჯიბრებამ ბაზრებისათვის ხელი შეუწყო გავლენის სფეროებში დაუდგრომელ განსაზღვრას ახლო აღმოსავლეთში და შექმნა ბალკანეთში დაუქრობელი სამხედრო ვულკანი. მრავალრიცხოვანი წვრილი ხალხები ხშირათ ეტაკებოდენ ერთი-მეორეს დიდი სახელმწიფოების მტაცებლების კარნახით—და სწარმოებდა განუწყვეტელი ერთ-ერთი ხოცვა-ჟლეტა მსოფლიო კაპიტალის ვეშაპთა სასიხარულოთ. არა ერთხელ და ორხელ ცდილან გაეჭრათ ეს გორდიევის კვანძი ალექსანდრე მაკედონელის ხმალით, მაგრამ არა თუ ეჭრებოდა, არამედ ყოველთვის სულ უფრო და უფრო რთულდებოდა აღმოსავლეთის საკითხი. ვინაიდან ყველა სამშვიდობო ტრაქტატები აუცილებლათ იყო მხოლოდ იურიდიული გამოხატულება სწორეთ იმ ეკონომიურ არსებისა კაპიტალისტურ კონკურენციის, რომელიც საფუძვლათ ედვა ყველა სამხედრო კონფლიქტებს. ამიტომ აღმოსავლეთის საკითხის საბოლოო გადაჭრა შეუძლია მოგვცეს მხოლოდ სოციალურ რევოლიუციას, სწერდა თავის დროზე კარლ მარქსი.

უკანასკნელი, ისტორიაში ჯერ არ ნახული, სამხედრო ცეცხლი, როგორც იცით, დაიწყო აგრეთვე ბალკანეთიდან და მოგვიყვანა ევროპის შემდეგ „ბალკანიზაციამდე“. ეჭვი არაა, რომ სხვადასხვა ერები დასახლებულ რუსეთის იმპერიას ემუქრებოდა გადაქცეულიყო ვეებერთელა „ბალკანეთად“ თუ არა დიდი ოქტომბრის დიდი რევოლიუცია, რომელმაც დაუპირდაპირა ერების ბურჟუაზიულ ანტაგონიზმს საბჭოთა რესპუბლიკების მშვიდობიანი თანაცხოვრება. ახლა „ბალკანიზმი“ ყვავის რუსეთიდან ჩამოცილებულ ოლქების ტერიტორიაზე—სიტყვით დამოუკიდებელ რესპუბლიკები, საქმით კი—ანტანტის უბრალო კოლონიები.

ტიპიურ-ბალკანურ კვანძს წარმოადგენს ვილენშჩინა, რომელიც ძევს პოლონეთ-ლიტვა-ბელორუსიის რკალის ცენტრში. ვის უნდა ეკუთვნოდეს „ვილნოს მიწა“—უფრო სწორათ, ვინ დაუწყებს ყვლეფას „შიდა ლიტვის“ მუშებსა და გლეხებს—ინგლისი კოვენის შეძლებულ მდიდარ გლეხების მთავრობის საშუალებით, თუ საფრანგეთის კაპიტალი პოლონეთის ხიშტების დახმარებით?

ასე დგას საკითხი ჟელიგოვსკის დღევანდელ სატრაპიის შესახებ. ამავე დროს, რასაკვირველია, მძარცველური ინტერესები დაფარულია, როგორც მიღებულია ეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, კეთილშობილ იდეოლოგიურ ფლერით. ლაპარაკობენ უფლებაზე, სამართლიანობაზე, თავისუფალ თვითგამორკვევაზე. მაგრამ ვერავითარ საბრალო სიტყვებით ვერ გადასჭრი უთმობელ პრაქტიკულ საქმეს. როგორ შეიძლება გამოარკვიო „სამართლიანათ“, თუ ვის ეკუთვნის საკუთრების უფლება ვილენშჩინაზე?

ისტორიული ვილნო ლიტვა ბელორუსიის მხრის დედაქალაქია, კულტურულათ ის პოლონეთის უეჭველ გავლენის ქვეშაა. ეტნოგრაფიულად ქალაქს მცხოვრებლები შესდგებიან პოლონელებისა და ებრაელებისაგან, ხოლო სოფლებში კი გლეხები სულერთიანათ არკვევენ თავიანთ ეროვნულ ვინაობას: „ტუტეიში“ (აქაური), „კრაევოი“ (მხარის) „კათოლიკე“.

და მართლაც ძნელია მოქალაქის ნაციონალური ჩამომავლობის დაწესება მხარეში, სადაც სასწაულისებურათ არიან არეული ერთი მეორეში გალიტვებული ბელორუსები, ჩასახლებული ლიტველები, გარუსებული პოლონელები და სხვ. არის სოფლები, სადაც დიდი მამები ლაპარაკობენ ლიტვურათ, მამები ბელორუსულად, და ბავშვები კი პოლონურათ ან რუსულათ. შეხვდებით თითქმის ისეთ ოჯახებსაც, სადაც მშობლები პოლონელებია, ხოლო ბავშვებში ერთს მოაქვს თავი ლიტველათ, მეორეს—ბელორუსათ, მესამეს—უკრაინელათ...

ცხადია, ისტორიული და ეტნოგრაფიული საბუთებით ნაციონალურ დავას ვერ აწონავ. ხოლო თავისუფალ თვითგამორკვევაზე კი ბურჟუაზიულ დემოკრატიზმის მეთოდებით ლაპარაკიც ზედმეტია. „მთელი ხალხის ხმის მიცემამ“ ისტორიამ ვილნოში 1919 წ., როგორც ახლახან მომხდარმა პლებისციტმა ზემო სილეზიაში, დაგვანახა ყველას, თუ რა ფასი აქვს ამ ვერაგობითა და პირმოთნეობით სავსე ბურჟუაზიულ დემოკრატიულ ტრაგი კომედიას.

ანტანტის უთვალავ კომბინაციებს შედეგათ კითხვა ვილენშჩინაზე დარჩა აქამდის დაუდგრომელ წონასწორობის ბალკანურ მდგომარეობაში. უკანასკნელი ცნობებით, პოლონელებმა ჩაშალეს ბრიუსელის კონფერენცია, უარყვეს რა ჰიმანსის პროექტი ლიტვის დამოუკიდებლობის შესახებ, რომელშიაც უნდა შესულიყო ვილნოც.

კოვენის კლერიკალების ორგანო: „სვობოდა“ ძალიან უფრთხის პოლონელების ახალ თავდასხმას ლიტვაზე, რათა დააყენოს ანტანტა მოხდარ ფაქტის წინაშე.

მეორდება „ზემო სილეზია“ „შიდა ლიტვაში“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გერმანიის განაპირა მხარეში პოლონელი მუშები იყვლიფება გერმანელ მაგნატების მიერ, ყოფილ რუსეთის განაპირა მხარეში კი პოლონელი მემამულეები ჩაგრავენ ლიტველ ბელორუს „ხლოპებს“. მაგრამ იმ განსხვავების გამო პოლონეთის იმპერიალიზმის პოზიცია ლიტვაში გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე სილეზიაში. იქ პოლონელ სამთო მუშების რევოლიუციონურმა მოძრაობამ გამოიწვია ლოიდ ჯორჯში კეთილ სურვილის გრძნობები მაღაროების ღარიბ გერმანელ მეპატრონეთადმი; აქ კი ლიტვას ოლქების ბევრ დაინტერესებს ინგლისს მხოლოდ იმ უმნიშვნელო კრედიტების მიხედვით, რომლებიც გაუწია მან კოვენის მთავრობას, უზრუნველყო რა ეს უკანასკნელი ტყით და სახნავით.

პოლონეთ ლიტვის კონფლიქტი ახლო მომავალში გვიმზადებს ახალ ავანტიურებს. ლიტვის მშრომელთა მასებს ემუქრება ახალი უბედურება. მაგრამ უკვე არის იმის სიმპტომები, რომ საფრანგეთ პოლონეთის ინტერვენცია დაეჯახება ძლიერ შინაურ წინააღმდეგობას.

ვილნოს სოფელმა გაიღვიძა. ის, რაც ვერ შესძლო ვერც ერთმა სოციალისტურმა პარტიამ, შესძლეს კომუნისტებმა. „ბოლშევიკური სენი“ შეიჭრა გლეხთა ქვედა ფენების სიღრმეში. პირველათ ვილენშჩინის ისტორიაში, რომელიც მოწამლული იყო საუკუნოებით კლერიკალიზმით და შოვინიზმით, ამოხეთქა რევოლიუციონურ ინტერნაციონალიზმის ცოცხალმა ფონტანმა. მშრომელი მასები მივიდნენ შეგნებამდის, რომ ნაციონალურ შუღლის ხლართის გახსნა ლიტვაში შეიძლება მხოლოდ იმ საშუალებით, რომლითაც მოისპობილ იქნა ახლახან თათარ-სომეხ-ქართველთა შორის საუკუნოებით არსებული შუღლი, ე. ი. პოლონეთის, ლიტვის და ბელორუსის საბჭოთა ფედერაციის დაწესებით.

კომუნისტურ იდეების „გავლენის სფეროებს“ შემდეგი გაფართოვება სწორი თავდები და გარანტია იქნება ყოველგვარ იმპერიალისტურ ავანტიურებისა და ინტერვენციების წინააღმდეგ. დაქრება მოქმედი ვულკანი, დაინგრევა ანტანტის მიერ აგებული „ბალკანები“ და დასავლეთში გადატანილი „აღმოსავლეთის საკითხი“, და ბოლოს, გადაიჭრება გამარჯვებული სოციალური რევოლიუციით.

ს. გირინისი.

„პრავდა“ № 129.

ᲙᲝᲛᲘᲜᲢᲔᲠᲜᲘᲡ ᲛᲔ-3 ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ.

ამხ. ტროცკის მოხსენება.

(დასასრული)

კლასობრივი წინააღმდეგობის გაძლიერება.

მრეწველობის პირველად გადიდება ომის დასრულების გამო და შემდეგ კი მისი კრიზისი სრულებით არ ნიშნავს რევოლიუციის გადადებას, თუნდაც რომ ვიფიქროთ, რომ ეს კრიზისი შეიძლება გახდეს კიდევ (დამახინჯებულია).., მრეწველობის განვითარების ეპოქათ. 1905 წლის რევოლიუციის დამარცხება შეუფერდა, მრეწველობის კრიზისს რუსეთში. მაშინ როდესაც მრეწველობის გადიდებასთან ერთად 1908—1912 წ. მოხდა მუშათა მოძრაობები, რომელიც გამოიხატა ომის დაწყების წინა ხანებში ქუჩებში სხვადასხვა გამოსვლებით. ამ ჟამად კლასობრივ წინააღმდეგობის ზრდასთან ერთად, დაეცა აგრეთვე მატერიალური დოვლათის წარმოება, რის გამოც კლასობრივი წინააღმდეგობა, გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ, ეს კარგი მომამზადებელია რევოლიუციური მოძრაობის განვითარებისთვის.“

მუშათა კლასი მსოფლიო ფრონტზე.

ამ ჟამად ჩვენ გვაქვს არა მარტო განცალკევებული მუშათა კლასი, არამედ მთელი შეკავშირებული სხვა და სხვა მუშათა წრეები. პოლიტიკურ ტრადიციებით აღზრდილ მუშათა მოძრაობას, ემატება დიდი რაოდენობა მუშებისა—ქალები და ახალგაზრდობა. რომელნიც გამოიწვია წარსულმა ომმა საბრძოლველად. დიდი ხანი არ არის რაც ისინი გამოვიდნენ კლასობრივი ბრძოლის ასპარეზზე. იმ მუშებთან ერთად, რომელნიც ხანდისხან იჩენენ ზედმეტ სიფრთხილეს, გამოვიდნენ რევოლიუციონური აღტყინებით და შეტევის სურვილით.

წვრილი ბურჟუაზია. ბურჟუაზიულ ქვეყნებში პოლიტიკური ბრძოლის სათავეში სდგას ტრესტების ირგვლივ შეერთებული მსხვილი ბურჟუაზია, შეუკავშირებელი წვრილი ბურჟუაზია აბსოლიუტურად გაღატაკებულია, ეცემა სოციალურათ და ამგვარათ მსხვილი ბურჟუაზიის საწინააღმდეგოდ არის განწყობილი. თუ თავის ძალის გამაგრებასთან ერთად პროლეტარიატი მიიზიდავს წვრილ ბურჟუაზიას, მაშინ გადამწყვეტი ბრძოლის დროს ის დაიკავებს საშუალო პოზიციას. ეს დიდი უმეტესობა გლეხობისა მთელ მსოფლიოში თითქოს გამდიდრდენ ქაღალდის ფულის ხმარების გამო მაგრამ ფაქტიურად გაღარიბებული არიან მსხვილი მრეწველობის მიერ.

ბრძოლა მსოფლიო გავლენისათვის.

(დამახინჯებულია). მოულოდნელად სოციალურ რევოლიუციას ამასთანავე ერთად მსოფლიო ომმა წარმოშვა მთელი რიგი პატარა სახელმწიფოებისა, რომელთა ბედის მიზეზი გიგანტურ ორგანიზმების მიერ მსოფლიოს გაყოფის შეუძლებლობა იყო

დასკვნა. (გამოტოვებულია). ათავებს თავის მოხსენებას ამხ. ტროცკი, წარმოიშვება (დამახინჯებულია)... კომუნისტური პარტიიდან (დამახინჯებულია)... ის უნდა უდგეს მებრძოლ მასებს სათავეში (დამახინჯებულია), უკუგდებს ფორმულირებას (დამახინჯებულია). ლოზუნგები ფართოდ ხმარობს კლასობრივ ბრძოლის სტრატეგიას. მოწინააღმდეგეთა შეტევის დროს ჩვენ უნდა შევადგინოთ მუშათა სხვადასხვა წრეებიდან ერთიანი არმია. ბურჟუაზია მთელი თავისი ძალღონით ეწინააღმდეგება რევოლიუციას და შემთანხმებლობით დიპლომატიით შეაჩერებს რევოლიუციის განვითარება (დამახინჯებულია). კომუნისტებმა ყოველის მხრივ უნდა გამოიყენონ შესვენება, რომ გააღრმაონ და გააფართოვონ კლასობრივი წინააღმდეგობანი. კომუნისტური პარტია ქონდეს ყველა მუშათა გამოსვლაში ერთობაში (დამახინჯებულია). იგი გადალახავს ყველა დაბრკოლებებს დიქტატურის და სოციალური რევოლიუციის გზაზედ.

ამხ. ტროცკი ათავებს თავის სიტყვას ხანგრძლივი ტაშის ქვეშ, რომელსაც მას უმართავს მთელი ქვეყნის მუშათა კლასი.

ᲡᲐᲑᲭ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გრუზროსტას დეპეშები.

ᲠᲔᲖᲝᲚᲘᲣᲪᲘᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲢᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

თიანეთი 20/6. (დეპეშით). თიანეთის მაზრაში სოფ. არტანში მუშათა და გლეხთა მიტინგზე გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინეს რა მოხსენება ამხ. ცინცაძისა საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკის შესახებ დაადგინეს: ხალხის განთავისუფლებით აღფრთოვანებულნი თიანეთის მუშები და გლეხები ფიცსა სდებენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახულ მიზნების მისაღწევად. გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მთავრობას. გაუმარჯოს მესამე კომინტერნს. გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადებს.

ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ.

ფოთი. 23 ივნისი. (დეპეშით). ივნისის 13-ს. რედუტ-კლუბში შესდგა კომპარტიის წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც დაადგინეს ყოველგვარ ზომების მიღება სატყეო საქმის გასაუმჯობესებლად. დაადგინეს ადგილობრივ საჭიროებისათვის ტყის და ფიცრის მიწევა.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ.

კომუნისტურ კავშირის სამაზრო კომიტეტის სამმართველოს განყოფილებამ მაზრაში შეჰკრა მჭიდრო კავშირი კომუნისტ ახალგაზრდათა კავშირის ყველა წევრთა, დაარსებულია წითელი კავშირი.

— ოზურგეთში გახსნილია შემდეგი საბჭოთა სახელოსნოები: 3 სამკერვალო სახელოსნო, 2 სახარაზო, 1 სადალაქო. სახელოსნოებში შეკვეთაც მიიღება. მუშაობა მეტად ენერგიულად სწარმოებს.

ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲠᲔᲕᲙᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ.

კურზუ. 1921 წ. 19 ივნისი: კურზუს მუშათა და გლეხთა მრავალრიცხოვანი კრება ერთხმათ მიესალმება საქართველოს გლეხურ-მუშურ მთავრობას და უფიცება, რომ ის საბჭოთა მთავრობის სადარაჯოს მტკიცეთ დაიცავს.

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ მთავრობას.

გაუმარჯოს პროლეტარიატს.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲗᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

გორი. 20 (დეპეშით). ტყვიავის მეზობელ სოფლებიდან ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის საორგანიზაციოდ შეკრებილმა ახალგაზრდობამ, მოისმინა ინსტრუქტორ—ორგანიზატორის მოხსენება იმ გმირულ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც გასწია რუსეთის პროლეტარიატმა ქვეყნის ბედნიერებისათვის, კრება სთვლის, რომ გზა, არჩეული რუსეთის პროლეტარიატის მიერ, არის ერთად ერთი გზა სოციალისტურ რევოლიუციისათვის. კრებამ დაადგინა მიესალმოს საქართველოს რევკომის თავმჯდომარეს და მთელ მთავრობას, როგორც რევოლიუციის იდეალების მატარებელს, ახალგაზრდობა ფიცსა სდებს: არ დაზოგოს ძალა ბრძოლისა ისტორიით პროლეტარიატზე დაკისრებულ მოვალეობისათვის. გაუმარჯოს მსოფლიო კომინტერნს. გაუმარჯოს მის ბელადებს, გაუმარჯოს საქართველოს მუშურ გლეხურ მთავრობას. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოს.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ.

ძველი სენაკი. 20 თიბ. ძველი სენაკის რაიონის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის კონფერენციამ დაადგინა მიმართოს საქართველოს რევკომს შემდეგი დეპეშით: „ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის კონფერენცია ესალმება საქართველოს მუშურ-გლეხურ მთავრობას და დარწმუნებულია მასში, რომ კომპარტია მუდამ იცავდა და იცავს ახალგაზრდობის ინტერესებს და მისცა რა მას თავისუფალ განვითარების საშუალება, მუდამ იქნება მშრომელთა ახალგაზრდობის უფლების დამცველი კომპარტია ახლა ერთად ერთი ძალაა. რომელიც მიწოდებულია საერთაშორისო პროლეტარიატის განსათავისუფლებლათ. გაუმარჯოს კომპარტიას, გაუმარჯოს საქართველოს მუშურ გლეხურ მთავრობას.

განსაკუთრებით მე 3 კლასი, აღშფოთებულმა მუშებმა მოაწყეს დემონსტრაცია და დაემუქრენ ბურჟუებს ზღვაში გადაგდებას და მათი ადგილების დაკავებას. კომანდამ ცხარი დაუშინა მათ გაფიცვით. მოახდინეს ჩხრეკა და დაპატიმრება.

ᲯᲐᲚᲐᲗᲔᲑᲘ ᲛᲖᲐᲗ ᲐᲠᲘᲐᲜ.

მოსკოვი, 26 ივნისი. ლატვიაში სამხედრო სასამართლოში ამზადებენ ახალ სასიკვდილო განაჩენებს. 27 ივნისს მოხდება 12 ჯარის კაცის გასამართლება. მოელიან სიკვდილის განაჩენის გამოტანას. ჯარის კაცებს ასამართლებენ 1905 წლის იანვრის დღეების წლის თავის დღესასწაულისათვის.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ-ᲛᲖᲐᲓᲐᲐ.

ლონდონი. 23 ივნისი. (რადიო). პარიზის პოლიციის პრეფექტმა უბძანა პოლიციის აგენტებს ყოველთვის დღისით თუ ღამით ზედ იქონიონ რევოლვერები და თოფები.

ᲕᲔᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ.

ლონდონი. 23 ივნისი. (რადიო). ხუთშაბათს, ვერდენის ბრძოლის წლის თავის აღსანიშნავათ ვერდენში გადახდილ იქნება ეროვნული დღესასწაული. ზეიმში მონაწილეობას მიიღებენ რაიმონდ პუანკარე და გენერალი ნიველი.

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ.

ლონდონი. 23 ივნისი. (რადიო). პარიზის გაზეთი „ჟურნალ დე დება“ აღნიშნავს, რომ ყველაზე საინტერესო ფაქტს, შენიშნულს დიდი ბრიტანეთის კონფერენციაზე, წარმოადგენს მოთხოვნა, გამოთქმული ინგლისის ყველა რაიონების წარმომადგენელთა მიერ, რათა ისინი პირდაპირ მონაწილეობას იღებენ ლონდონის მთავრობის დიპლომატიურ ნაბიჯებში. კონფერენცია აღნიშნავს, რომ დღიურ არსებით საკითხს წარმოადგენს საკითხი ევროპის დამშვიდების შესახებ. ეს საკითხი ამერიკელ სენატორი ზიუგის სიტყვით, წარმოადგენს მსოფლიო დრამას.

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗ-ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲝᲛᲘ.

ლონდონი. 23 ივნისი. (რადიო). საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის ელჩმა საბერძნეთის მთავრობას ჩააბარეს საერთო განცხადება, რომელშიაც ანტანტის მთავრობის მხრივ სასარგებლო პირობებს აძლევენ, რის სამაგიეროთ უნდა ბოლო მოეღოს საბერძნეთ ოსმალეთის ომს. საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ მინისტრთა საბჭო დაუყონებლივ, გუნარისის დაბრუნების შემდეგ, განიხილავს ამ წინადადებას.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲚᲐ.

ლონდონი. 23 ივნისი. (რადიო). მუნიციპალურმა საბჭომ ბერლინში დაადგინა მიმართოს მთავრობას თხოვნით, რომ ბერლინის ქუჩებს სახელები გამოეცვალოს, მხოლოდ ისტორიული სახელები კი ხელუხლებლათ იქმნას დატოვებული.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ

გრუკავროსტას დეპეშები.

ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ-ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ.

როსტოვი. ყუბანზე კოოპერატიული საქმიანობა მეტად გამოცოცხლდა. საბჭოთა მთავრობის ახალ დეკრეტებს დაუხვდნენ რიგზე დამზადებულნი. ყუბანის კოოპერაციის ტეხნიკური პერსონალი დაცულია ხელუხლებლათ.

— როსტოვში დაარსეს სპეციალური კომისია იმ მომხმარებელ კოოპერატივების რეგისტრაციისათვის, რომლებიც შედიან ყუბანის პროფესიონალურ კავშირში. მოხდა დონის შინამრეწველობის და ხელოსნების საორგანიზაციო კრება, მოწვეული პირველად საბჭოთა მთავრობის მიერ კოოპერაციის დეკრეტის გამოცემის შესახებ.

ᲛᲢᲐᲪᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

როსტოვი. დონის რევტრიბუნალმა დაასრულა 32 დამტვირთველის საქმის გარჩევა. მათ ბრალდებოდათ სისტემატიური მტაცებლობა ბარგის გადატვირთვის დროს, მცარცველს პირობით გადაუწყვიტეს 6 წლის იძულებითი სამუშაო.

ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲘᲓᲘ ᲒᲖᲐ

როსტოვი. დაიწყო რკინის გზის ნახშირის საზიდი გზის შტოს გაყვანა ეკატერინინსკის რაიონში სოჩა ადლერის, სულ 25 ვერსის მანძილზე.

ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ.

როსტოვი. ივლისის დასაწყისში შესდგება რუსეთ-პოლონეთის სავაჭრო კონფერენცია. ეს კონფერენცია მოწვეულ იქნა სავაჭრო ხელშეკრულების ვადის გათავების გამო.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ

გრუკავროსტას დეპეშები.

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲝᲛᲐ.

ლონდონი. 28 ივნის. რომიდან იუწყებიან, ჯიოლიტის მთავრობა, რომელმაც ნდობა გამოუცხადა უმრავლესობამ 34 ხმით, გადადგა.

ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲝᲠ ᲡᲙᲐᲛᲡ ᲨᲣᲐ ᲯᲓᲝᲛᲐ.

მოსკოვი. 28 ივნისი იტალიის სოციალ-შემთანხმებელი ტურატი გამოვიდა პარლამენტურ კომუნიზმის წინააღმდეგ და სთქვა, რომ ერთი მეორეს დაეჯახა ორი ძალა: ერთი, რომელსაც სურს დააჩქაროს ისტორიის მსვლელობა, მეორე,— რომელსაც სურს შეაჩეროს. არის მესამე ძალა, რომელიც ღებულობს ზომიერ ძალადატანებას. კომუნისტმა გრაციალემ უპასუხა მას, რომ აშკარა ომის რევოლიუციონური პერიოდი უკვე დადგა. პროლეტარიატი მიდის პოლიტიკურ ძალა უფლების დასაპყრობათ; მას ხელს უშლიან სოციალ-გამცემლები, პროლეტარიატის ინტერესების მოღალატენი. ბურჟუაზიულ წყობილების მოსპობა ძალდაუტანებლათ შეუძლებელია.

„ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ“ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲜᲘ.

მოსკოვი, 26 ივნისი. საფრანგეთში გამოცემულია ახალი კანონი ანტიმილიტარისტული პროპაგანდის წინააღმდეგ. კანონი მიმართულია კომუნისტურ ლიტერატურის წინააღმდეგ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲕᲘᲗ.

მოსკოვი, 26 ივნისი. გავრში გემზე: „პარიზი“, რომელიც მშვენივრათ არის მოწყობილი მდიდარ მგზავრებისათვის და ძალიან ცუდად ღარიბებისათვის,

ᲡᲐᲥ ᲠᲗᲕ. ᲬᲐᲠᲛ. ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ.

(მეექვსე დღე—17 ივნისი)

მისალმება კომინტერნის კონგრესს.

წინადადება შემოდის გაეგზავნოს მოსკოვში შეკრებილ მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის ყრილობას მისასალმებელი დეპეშა. წინადადება დიდის ტაშის ცემით იქნა მიღებული.

ამხ. კილასხანიძის მოხსენება კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობაზე კავშირებში.

ამხანაგებო, არავინ არ უარყოფს გაერთიანებულ კავშირებში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოების საჭიროებას, მაგრამ პირველათ უნდა გამოირკვეს, თუ რა ფორმებით და უმთავრესათ რა ნიადაგზე უნდა იქნეს ეს მუშაობა წარმოებული. საბჭოთა რუსეთში პირველ დასაწყისში ამ მუშაობას აწარმოებდა თითქმის ასამდე კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები. მათ ერთი მთლიანი გეგმა არა ჰქონიათ. ამასობაში კი საჭიროა, რომ ყოველგვარ მუშაობას ჰქონდეს ერთი გარკვეული ხასიათი. საქართველოში კი ყოველ საგანმანათლებლო მუშაობას უნდა აწარმოებდეს განათ. სახ. კომისარიატი მასთან ყოველ დარგისთვის არსებობს ე. წ. მთავარი კომიტეტები და კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობა უმთავრესად დამოკიდებულია სახ. გან. კომისარიატთან არსებულ პოლიტიკურ განათლების მთავარ განყოფილებისაგან. რასაკვირველია, ამ მუშაობისათვის ამა თუ იმ მიმართულების მიცემაში მუშათა მასამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, ვინაიდან ამ კითხვით უწინარეს ყოვლისა თვით ესენი არიან დაინტერესებულნი, რომ შეუდგეთ ამ მუშაობას პოლიტ. გან. მთავარ განყოფილების დამოუკიდებლათ—საკუთრათ, ეს თვით საქმისათვის საზარალოა. მაგრამ მარტოკა სახ. განათლ კომისარიატიც უძლურია, რომ გაატაროს მასის განათლების დარგში განზრახული მუშაობა. იქ საჭიროა კავშირების დახმარება. მათაც უნდა აწარმოვონ მუშაობა თავის წევრების კულტურულ განსავითარებლათ. ჩვენს კულტურულ მუშაობის საქმეში ერთი დიდი უარყოფითი მოვლენაა. ესაა ის, რომ ჩვენ ვცდილობთ ამ საქმისათვის გამოვიყენოთ, მაგალითად, არტისტიული და კულტურული ძალები. ეს პოლიტიკა არაა სწორი. უმთავრესად ჩვენ უნდა მივმართოთ ჩვენი მუშაობა ფართე მასაში თვით მოქმედების განვითარების მხრივ. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ერთი უმთავრეს დაბრკოლებელთაგანია წერა-კითხვის უცოდინართა სიმრავლე და აგრეთვე ის, რომ ფართე მასა ვერ გებულობს თანამედროვე ცხოვრების ხასიათს. ჩვენ გვჭირდება კვალიფიციურ მუშათა კადრი და აუცილებლათ საჭიროა თითოეულ წარმოებაში არსებობდეს ამ კადრის შექმნის შესაძლებლობა. საჭიროა სპეციალურ ტეხნიკური ცოდნა, რასაც საქართველოს მუშები დიდათ საჭიროებენ. მუშათა ორგანიზაციებმა უნდა გამოარკვიონ, თუ რამდენ კვალიფიციური მუშებია საჭირო თითოეულს წარმოებაში. პროფ. კავ. საბჭოს კულტურულ საგანმანათლებლო ორგანოებმა წინასწარ უნდა მიაწოდონ სახ. გან. კომისარიატს წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის საჭირო ცნობები და მასალები, კავშირები უნდა დაეხმარონ სახ. გან. კომისარიატს უცოდინარობის ლიკვიდაციის სასარგებლო აგიტაციის გაწევაში. შემდეგ ამხ. კილოსანიძე ვრცლად ეხება მუშათა კლუბის, დასასვენებელ სახლების, აგრეთვე შერეულ წარმოების შეძლებისამებრ, ბიბლიოთეკად სამკითხველოს მოწყობას.

საქარ. პროფკავშირთა საბჭოს არჩევნები.

ივნისის 17. საქართველოს წარმოებით პროფკავშირთა კონფერენციის სხდომაზე საქ. პროფკავშირთა საბჭოს არჩევნები მოხდა. პრეზიდიუმში 15 წევრი და 6 კანდიდატი აირჩიეს. არჩეულნი არიან შემდეგი პირები: 1) [illegible] 2) ოდილავაძე, 3) ჯულელი, 4) დუმბაძე, 5) ყურულაშვილი, 6) [illegible], 7) [illegible], 8) ნუცუბიძე, 9) გაბესკირია (ფოთიდან) 10) სულავა (ქუთაისიდან), 11) [illegible] (ბათომიდან), 12) იაშვილი (ბეჭდვითი საქმის კავშირიდან), 13) ვაშაკიძე (რკინის გზელებიდან), 14) მაჩაიძე (ლითონზე მომუშავეებისაგან) და 15) კუბლაშვილი (ტყიბულის მუშებისაგან.) კანდიდატებათ: 1) სერგეევი (კომ. მეურნ). 2) მოწონელიძე (ხაშურის რაიონიდან), 3) რუხაძე, თელავის რაიონიდან, 4) ლეჟავა ნოე (რკინის გზელებისაგან), 5) მჟავანაძე (რკინის გზელებისაგან), და 6) გურული (მზარეულებისაგან).

საქართველოს მუშები პროფკავშირთა წითელ ინტერნაციონალთან.

საქართველოს წარმოებით პროფკავშირთა კონფერენციაზე აღძრული იყო საკითხი საქართველოს პროფკავშირებთან დელეგატების გაგზავნის შესახებ წითელ პროფკავშირთა საერთაშორისო კავშირის კონფერენციაზე მოსკოვში. ამ საკითხის განხილვის დროს გამოირკვა კონფერენციის სურვილი, რომ გაეწყვიტა კავშირი ამსტერდამის ყვითელ გაერთიანებულ პროფკავშირებთან, რისთვისაც იქნა მიღებული ერთხმად რეზოლიუცია (რომლის დროსაც ერთმა თავი შეიკავა), ამსტერდამის ყვითელ ინტერნაციონალთან გამოსვლისა და მთელი მსოფლიო საერთაშორისო მუშათა წითელ კავშირში შესვლის შესახებ დელეგატებათ კონფერენციაზე აირჩიეს ამხ. ყურულაშვილი და ძაძამია. მათ კანდიდატებათ ლეჟავა და ნუცუბიძე.

ამხ. ყურულაშვილის მოხსენება მოსკოვის წითელ საერთაშორისო პროფკავშირების გაერთიანების შესახებ.

ამხანაგებო, მე მგონია, რომ მუშათა კლასის გაერთიანების აუცილებლობის შესახებ საკითხი ამ კონფერენციისათვის საკმაოთ გამოირკვა, როცა აქ ირჩეოდა მრავალი სხვა საკითხები. მაგრამ ჩვენ უნდა გავსცეთ პასუხი იმ კითხვას, თუ ვისთან უნდა ვიაროთ და როგორი კურსით განვაგრძოთ სვლა საქართველოს მუშებმა. რამდენიმე მილიონი მუშა ქუჩაშია გამოგდებული. პროფესიონალური ორგანიზაციები დღეს დაიყო ორ ბანაკათ. ჩემის აზრით, ეს დაყოფა მოხდა არა თვით მუშათა მასაში, არამედ ის მოხდა მხოლოდ თვით ხელმძღვანელთა შორის. ერთის მხრივ სდგას ამსტერდამის, ე. წ. ყვითელ პროფ. კავშირთა გაერთიანება, მეორე მხრივ კი სდგას საერთაშორისო პრ. კავშ. მოსკოვის წითელი საბჭო. ამსტერდამელები აფერხებენ მუშათა კლასის ჩქარა განმათავისუფლებელ ბრძოლის საქმეს. მოიგონეთ მსოფლიო ომი, ვინ უმაგრებდა ყოველგან მაშინ ბურჟუაზიას ზურგს, ვინ ეხმარებოდა ბურჟუაზიას მუშათა კლასის ერთი მეორეზე გადაკიდების საქმეში, სხვა და სხვა ქვეყნის განადგურებაში. ის გახლავთ ამსტერდამის ყვითელ ინტერნაციონალის ხელმძღვანელები. რას ვხედავთ ახლა? ინგლისელ მემაღაროეთა გმირული ბრძოლა იპყრობს მთელი ქვეყნის მუშების ყურადღებას. თუ აქ, საქართველოში ჩვენთვის სრულებით უმნიშვნელო არ არის ამ ბრძოლის მდგომარეობა, იქ ინგლისში არიან ისეთები, რომელნიც სცდილობენ ჩაახშონ მუშათა მოძრაობა. ისინი აჩერებენ იმ მუშებს, რომელთაც სურთ გაფიცულ მემაღაროეთ აღმოუჩინონ დახმარება მაგალითად,

2½ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐ.

ბ. ორი ეპოქის გზაჯვარედინზე.

(გაგრძელება იხ. „კომ.“ № 97).

საფრანგეთში მუშათა მასებმა არ დაკმაყოფილდნენ რუსეთის საბჭოებისადმი თავის თანაგრძნობის აშკარად გამოცხადებით და ბურჟუაზიულ დემოკრატიის კრიტიკაში ჩაუდგნენ. ბურჟუაზიული დემოკრატები მშრომელი მასები რამდენათ ღრმად რევოლიუციონერდებოდენ იმდენათ საგრძნობლად იზრდებოდა მათი იდეური გავლენა. გერმანიაში დემოკრატიული ოცნება ერთიმეორეზე თანდათანობით იმსხვრეოდა. იტალიაში გაფიცვა გაფიცვასა და სახელმწიფოებრივ ძალასთან შეტაკება შეტაკებას ყვებოდა.

ამგვარ პირობებში ერთ ადგილზე გაჩერება არ შეეძლო იმ პროლეტარულ პარტიებს, რომელნიც ბურჟუაზიასთან შეთანხმების პლატფორმაზე აშკარად არ იდგნენ და რომელნიც თავის მხრივ მუშათა კლასის მოძრავ კადრს წარმოადგენდენ. იმათ არ შეეძლოთ რომ კვლავ გაეგრძელებიათ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება კომუნისტურ ინტერნაციონალისადმი. რომ შეენარჩუნებიათ მასის თანაგრძნობა იმათ უნდა დაეთმოთ რამე მის ახალ იდეოლოგიისათვის და ანგარიში უნდა გაეწიათ მისი ბრძოლის წყურვილისათვის. ჯერ კიდევ ომამდი მუშათა მოძრაობის რადიკალურ ფრთასა და ოპორტიუნისტულ ფრთას შორის არსებობდა საშუალო მიმართულება, რომელიც იდგა მარქსიზმის რადიკალურ დოქტრინის ნიადაგზე, მაგრამ რომელიც თავს იკავებდა რომ მისგან თანდათანობითი პრაქტიკული დასკვნები გაეკეთებია. მუშათა მოძრაობის ამ სამმა გზამ ყველაზე უკეთ გერმანიაში იჩინა თავი სადაც ომამდე რუსეთის დამოუკიდებლათ რამდენიმეთ წინასწარ ბრძოლა მოხდა კომუნისტური ინტერნაციონალის იდეის გარშემო როგორც იყო მაგალითად კაუცკის მომხრეების ბრძოლა მემარცხენე რადიკალების მოძრაობასთან, მასიურ გაფიცვებთან და იმპერიალიზმის საკითხში. თუ სხვა სახელმწიფოებში ეს სამთა დაყოფა რეფორმისტებათ, ნამდვილ მარქსისტებათ და ცრუ რადიკალებათ (ცენტრი) თეორეტიულად იჩენდა ხოლმე თავს, თუმცა არც ისე აშკარათ, მათში მაინც იყო რადიკალურ დოქტრინის აღმსარებელი ელემენტები, რომლებიც ამ თავის რწმენას ცხოვრებაში არ ატარებდენ. ეს ელემენტები ომის დროს ზოგჯერ აშკარათ გადადიოდენ რეფორმიზმის მხარეზე და ზოგჯერაც სოციალ-პატრიოტების წინააღმდეგ პასიურ პროტესტით კმაყოფილდებოდენ: ისინი ახლაც ასეთივე არიან. იმათ ვერ მოახერხეს რომ მუშათა რადიკალურ მოძრაობის აქტიურ მოღვაწეობათ გამხდარიყვნენ და ვერც ის შეიძლეს რომ მხგავსათ რეფორმისტებისა ასეთ მოძრაობის წინააღმდეგ აქტიურად გამოსულიყვნენ.

თავისი პოლიტიკით იმათი მიზანი უნდა ყოფილიყო მიეზიდოთ მასები მათი ახალი რევოლიუციონური იდეოლოგიის მიღებით, მაგრამ იმ მიზნით რომ ისინი რევოლიუციონურ გამოსვლებისაგან შეეკავებიათ.

რას ეყრდნობოდენ ეს ელემენტები და როგორი იყო ძირითადი საფუძველი მათი პოლიტიკისა. რეფორმისტები ამ სოციალურ ჯგუფს ემყარებოდენ: მსხვილ ცენტრის მუშათა არისტოკრატიას, რომელიც არ ჩანდა საჭიროთ რევოლიუციონურ ბრძოლას იმ მოსაზრებით რომ იოლად გავიდა და რევოლიუციონურ გამოსვლების მოუხდენელადაც და გაფანტულ წვრილ მეშჩანურ მუშათა ერთეულების, რომელთაც ჯერ კიდევ არ გადაეწყვეტათ ამართათ თუ არა აჯანყების დროშა პატრიარქალურ პროვინციალურ წრეში.

ცენტრის წარმომადგენლებიც ომის გამოცხადებამდი ამავე ელემენტებს ემყარებოდნენ. ძველ სოციალისტურ ტრადიციებით მდიდარ სახელმწიფოებში, როგორც მაგალითად გერმანიასა და საფრანგეთში მცირე არ იყო ნივთიერად უზრუნველყოფილ მუშათა რიცხვი რომელმაც მიუხედავად ამისა მაინც შეითვისეს სოციალისტური აზროვნების სიახლე და რომლებშიც იყო სოციალისტურ იდეოლოგიის მოთხოვნა, როგორც კარგ კვირა დღეს სიგარის მოწევისა.

ომის დაწყების პირველ ხანებისა და მას შემდეგ მუშათა არისტოკრატიის მდგომარეობა თანდათან გაცუდდა რამაც ძველი მუშათა არისტოკრატიის დიდი ნაწილის გარევოლიუციონერება გამოიწვია. ამ გარემოებამ ცენტრს მისცა ახალი სოციალური ბაზა.

სწორედ ეს ძველი მუშათა არისტოკრატია, რომელიც თანდათანობით კარგავდა თავის წინანდელ რწმენას, ეზარება, ეპირება ახლა გამოსასვლელად, მაგრამ წინ რომ ერთ ნაბიჯს გადადგამს გარშემო იხედება. ფერს კარგავს ბრძოლის შედეგების წარმოდგენით და გადამწყვეტ მომენტებში ცდილობს გამოსვლებიდან მთლადაც შეიკავოს თავი. რიხარდ მიულერი, რომელიც ახლა კომუნისტია, პატიოსანი მუშაა, ღრმა კლასიური შეგნებით და კომუნისტათ გახდომამდი 1919 წელს, როდესაც ბერლინის მუშათა საბჭოს თავმჯდომარე იყო და გერმანიის ცენტრსა და დამოუკიდებელ სოციალდემოკრატებს ოპოზიციაში უდგა წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც უფრო აშკარათ ვიდრე ეს სხვა ადგილს იყო შესაძლებელი დახატა სურათი კვალიფიციურ მუშის რევოლიუციონურ მოქმედების გზაზე გადასვლისა.

თავის სიტყვის თქმის დროს რიხარდ მიულერი თუმცა თეორეტიულად უკვე იდგა პროლეტარიატის დიქტატურის ნიადაგზე, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მაინც შიშით წამოიძახა: თუ ასე გაგრძელდა, გერმანიას მაშინ დიდი უბედურება მოელის, რომლისათვისაც ჩვენ პასუხს არ ვაგებთ და რომლის თავიდან აცდენასაც ჩვენ ვერ შევიძლებთ. და მან ხელი მაგრათ ჩასჭიდა ყოველგვარ [illegible] იდეას. აქ როგორც ნამდვილ სურათზე გამოხატულია ნამდვილ პროლეტარულ მებრძოლ სულში კი როგორ აღიბეჭდა ეს შიში საჭირო და აუცილებელ ბრძოლის პერსპექტივების წინ. იმ წამში მან შეძრწოლებით უკან დაიხია ბრძოლიდან და მიუდგომლათ რომ ვსთქვათ, შეიძლო თავი დაეხწია ამ შიშისათვის მებრძოლ კომუნიზმის რიგებში შესვლით. მილიონობით პროლეტარიატი კი ასეთ ნაბიჯს ძალიან ნელა სდგამს. ეს ნელი სვლა წარმოადგენს მატერიალურ საფუძველს ცენტრის პოლიტიკისას.

მუშათა კლასის საშუალო ჯგუფის ბელადებს შეუძლებელია ისე შევხედოთ, როგორც შეგნებულ კონტრევოლიუციონერებს—ეს ან ინტელიგენტებია, რომელთაც თავის გაცოფებაში, სწავლულ ძმათ რომ სჩვევიათ, არამც და არამც არ შეუძლიანთ აღიჭურვონ მუშათა შორის შემოქმედების როლის რწმენით ან და ბიუროკრატები. მუშათა არისტოკრატიის წრიდან გამოსულნი და ბურჟუაზიულ და რეფორმისტულ გზებით იმდენათ გარკვეულნი, რომ იმათ არ შეუძლიანთ მისგან განთავისუფლდნენ მაშინაც კი, როდესაც ფორმალურად ისინი ღებულობენ პროლეტარიატის დიქტატურისა და რევოლიუციის იდეას. მთელი მათი პოლიტიკა იმაში მდგომარეობს რომ მათგან თეორიულად მიღებული რევოლიუცია ჩამოიყვანონ ქაღალდზე პროგრამულ ფრაზებამდე, რასაც მიმართავენ მხოლოდ ღირსშესანიშნავ მომენტებისა და სადღესასწაულო აღლუმებზე. ერთხელაც კი არ ფიქრობენ კლასიურ ბრძოლის გამწვავების გაფართოვებისა და გაღრმავების გზით მიანიჭონ ამ რევოლიუციას გამარჯვება. ამგვარ პოლიტიკას ისინი უმთავრესად საერთაშორისო მდგომარეობაზე ხელის მოწერით ასაბუთებენ. ისინი მოელიან რევოლიუციას სხვა სახელმწიფოში სადაც რევოლიუციონურ ბრძოლას უფრო ხელშემწყობი ნიადაგი აქვს ვიდრე თვითონ. ამგვარი პოლიტიკის მომხრეები ყოველ სახელმწიფოში მრავალია. მათი ტიპიურ ნიმუშათ შეიძლება ჩაითვალოს გერმანიაში დამოუკიდებელ სოციალ დემოკრატიული პარტია და საფრანგეთში ლონგეს ჯგუფი.

კ. რადეკი.

(შემდეგი იქნება)

მათ შეაჩერეს ტრანსპორტის და რკინის გზის მუშების აქტიური გამოსვლა. მიუხედავათ ამისა, მუშათა მასა მაინც გამოდის თავის ხელმძღვანელთა დამოუკიდებლად და აძლევენ დახმარებას.

გერმანიაში შეიდემანელები და საფრანგეთში სინდიკალისტები—ყველა ეს ყვითელი ხელძღვანელები აჩლუნგებენ მუშათა მასის ბრძოლას, აყენებენ ამ მუშებს ბურჟუაზიასთან შეთანხმების გზაზე. და აი, რევოლიუციისათვის ამ ბრძოლის ისტორია, ისტორია მუშათა მოძრაობისა უკვე ბევრი წელია რაც იპყრობს მთელი ქვეყნის ყურადღებას.

მეორე მხარეზე მოსკოვი, პროფკავშირთა თავის წითელი ინტერნაციონალით. მისი არსებიდან მხოლოდ ერთი წელიწადია, მარა მიუხედავათ ამისა ის თავის გარშემო აერთიანებს 14 მილიონ შეკავშირებულ მუშებს, ის აერთიანებს მთელი ქვეყნის მუშებს. მრავალი სინდიკატებმა გამოიტანეს დადგენილება მოსკოვის წითელ ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი აღორძინდა სოციალისტური პარტიების ნანგრევებზე, აგრეთვე ყვითელი ამსტერდამის ინტერნაციონალის პროფკავშირების ნანგრევებზე აგო და იზრდება წითელი ინტერნაციონალი. ამის გარშემო ერთდება პროლეტარიატი კაპიტალის საწინააღმდეგოთ ბრძოლის საწინამძღვროთ. ამხანაგებო, სოციალურ რევოლიუციის მოწინავე ლაშქართან დაკავშირებული საქართველოს პროფ. კავშირების წინაშე არც კი უნდა წარმოდგეს ის კითხვა, თუ ვისთან უნდა იარონ მათ, მით უმეტეს 25 თებერვლის აქეთ არც კი უნდა იყოს არჩევანი მოსკოვა თუ ამსტერდამი. ჩვენ მჭიდროთ ვართ დაკავშირებული იმ მუშათა კლასთან, რომელიც მთელი იმპერიალიზმის ჩამოსაგდებლად იბრძვის. თუ წინათ საქართველოს მუშები მენშევიკების ზეგავლენით ითვლებოდნენ ამსტერდამის ყვითელ ინტერნაციონალში წევრათ, ახლა კი, როცა მუშები განთავისუფლდნენ მენშევიკების უღლისაგან, ამსტერდამის ყვითელ ინტერნაციონალში დარჩენის შესახებ კითხვა სრულებით შეუძლებელია. ახლა ჩვენ თავისუფლად, ვწყვეტთ ჩვენ ბედს და უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველოს მუშები სწყვეტენ ყოველ გვარ კავშირს ამსტერდამის ყვითელ ინტერნაციონალთან და შედიან მოსკოვის წითელ ინტერნაციონალის პროფკავშირთა რიგებში (ტაში). ჩვენ ჩვენს ბედს ვუკავშირებთ მსოფლიო მუშათა მოძრაობას; დარწმუნებულნი ვართ, რომ საქართველოს მუშათა მასა საერთაშორისო მუშათა კლასის მსოფლიო იმპერიალიზმისაგან განთავისუფლების ნიადაგზე სდგას წითელ დროშის ქვეშ, ამ შემთხვევაში მუშათა მოძრაობის შტაბის მოსკოვის წითელ კავშირთან. (და კიდევაც დღევანდელ სხდომაზე უნდა გამოირკვეს საკითხი დელეგატების მოგზაურობის შესახებ. ვინაიდან აქ ესწრებიან სხვა პარტიებიც. ჩემი სურვილია, რომ მათაც გამოთქვან თუ როგორია ამ კითხვასთან დამოკიდებულება. (ტაში).

ბრძოლა ეპიდემიასთან

ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილება

ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად იმატა ქალაქში კუჭ ნაწლავების ავადმყოფობამ და ხოლერამ. ქალაქის ქუჩებზე, ქვაფენილზე და მოედნებზე სწარმოებს დაუშვებელ პირობებში სანოვაგით და და ხილით ვაჭრობა დღე და ღამე. დღიდან ამის გამოცხადებისა აკრძალულია ყოველი ხილით, სანოვაგით და წყლით მოძრავი ვაჭრობა ქუჩებზე და ქვაფენილზე, როგორც დღით ისე ღამით. დამრღვევი ამ დადგენილებისა მიცემულ იქნება პასუხის გებაში.

ქალაქის მილიციას ევალება იქონიოს ყურადღება ზემოხსენებულ დადგენილების ცხოვრებაში გატარებლად.

ხოლერის მსვლელობა თბილისში.

27 ივნისს დილის 9 საათიდან—28 ივნისის დილის 9 საათამდე ავათ გახდა ხოლერით 12 კაცი. ამათგან გარდაიცვალა 3.

განაწილება უბნებათ:

1 უბანში—0, 2 უბ.—0, 3 უბ.—0, 4 უბ.—1, 5 უბ.—1, 6 უბ.—1, 7 უბ.—1, 8 უბ.—0, 9 უბ.—0, 10 უბ.—1, 11 უბ.—0, 12 უბ.—0, 13 უბ.—0, გამოურკვევი 7.

კატეგორია საერთოდ ავათმყოფთა.

მუშა—2 (ამათში ერთი საავათმყოფოში მომვლელი ქალი.), მოსამსახურე—3, წითელი არმიელი—6, დიასახლისი—1.

სადაურია ხოლერით ავადმყოფნი.

თბილისელი—1, თბილისის გარეთ მცხ.—3, მეზობელ რესპუბლიკ.—2, რუსეთიდან ჩამოსულნი—6,

წლოვანება.

20 წლ.—0, 21—25 წლ.—4, 26 30 წლ.—3, 31—40 წლ.—0, 41—50 წლ.—2, 51—90 წლ.—0, 61—70 წლ.—1, გამოურკვევი—1.

ივნისის 23 დილის 9 საათიდან ივნისის 29 დილის 9 საათამდე

ავათ გახდა—10, გარდაიცვალა—0,

განაწილება უბნებათ.

1 უბანი—0, 2 უბ.—0, 3 უბ.—2. 4 უბ.—1, 5 უბ.—1, 6 უბ.—1, 7 უბ.—1, 8 უბ.—0, 9 უბ.—0, 10 უბ.—1, 11 უბ.—0, 12 უბ.—1, გამოურკვევი 2.

კატეგორია ხოლერით ავადმყოფთა.

მუშა—3, მოსამსახურე—1, საავათმყოფოს მომვლელი ქალი. წითელი არმიელი—1, დიასახლისი—3, უსაქმო—2,

სადაურია ხოლერით ავათმყოფი.

თბილისი—8, მეზობელ რესპ.—1, გამოურკვევი—1.

წლოვანება.

0—20 წლ.—3, 21—25 წლ.—1, 21—31 წლ.—1, 31—40 წლ.—2, 41—50 წლ.—0, 51—60 წლ.—3.

დასკვნა:

ამ ორ დღეში ავათ გამხდარა სულ 22 კაცი. გადაცვლილა 13, 6 პროც. ამათგან ქალ. ცენტრალურ ნაწილში გამხდარა ავათ 9,—09 პროც. განაპირა უბნებში—99 0 პროც. თბილისელი—40,9 პროც. თბილისის გარეთ მცხოვრნი—13,62 პროც. რუსეთიდან ჩამოსულნი—26,13 პროც. გამოურკვევი—4,65 პრ.

მუშა 23 პროც. მოსამსახურე 20 პროც. წითელი არმიელი 30 პროც. უსაქმო 10 პროც. დიასახლისი—20 პროც.

სტატისტიკურ განყოფ. გამგე.

ეკონომიური ცხოვრება

ნავთის კამპანიის დაწყება საქართველოში.

ივნისის 29 ს სხდომაზე საქართველოს რევოლიუციონურმა კომიტეტმა მოისმინა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილების გამგე ინჟ. ი. ყიფშიძის ფრიად საინტერესო მოხსენება საქართველოში ნავთის დამუშავების შესაძლებლობის და ნავთის წარმოების საქართველოში აღორძინების შესახებ. ინჟ. ი. ყიფშიძემ მრავალი ისტორიული სტატისტიკური ცნობებისა და სხვა გამოკვლევათა მასალების შემწეობით სავსებით ნათელყო ის გარემოება, რომ საქართველოს საუკეთესო ეკონომიური მომავალი მოელის ნავთის წარმოების დიდი მასშტაბით განვითარების ნიადაგზე, განსაკუთრებით თელავისა და სიღნაღის მაზრებში.

ამის გამო საქართველოს რევკომმა შემდეგი დაადგინა:

1. აუცილებელ საჭიროებად იქნეს ცნობილი ნავთის ყველა ხვრელების დაუყონებლივ დამუშავება შინა მრეწველობის საშუალებით, ხოლო ნავთის ღრმა ხვრელების მექანიკურად დამუშავებისათვის დაწყებულ იქნეს გამოკვლევანი.

2. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთო განყოფილებას ნავთის მრეწველობის საჭიროებისათვის გეხსნას ხუთნახევარ მილიარდი 5 500.000.000 მან. კრედიტი ავანსის წესით.

3. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთო განყოფილების უფლება მიეცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან ერთად შეუდგეს საჭირო მასალებისა და ინვენტარის, აგრეთვე სურსათისა და ფურაჟის ადგილობრივათ დამზადებას.

4. მიეცეს მიმოსვლის საშუალებანი.

5. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთო განყოფილებას სასწრაფო საგანგებო წესით დაევალოს გათვალისწინებული პროგრამის შესრულება, რისთვისაც ყველა დაწესებულებათ და თანამდებობის პირთ წინადადება მიეცეთ ნავთით მრეწველობის ყველა მოთხოვნილებანი დააკმაყოფილონ პირველ რიგში.

6. ეთხოვოს აზერბეჯანის სახალხო კომისართა საბჭოს და აზერბეჯანის ნავთის მრეწველობის კომიტეტს ნავთის მრეწველობის ყველა საჭირო ტეხნიკური მასალები გადასცეს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

7. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთო განყოფილებას წინადადება მიეცეს ნავთის მრეწველობის საქმის მსვლელობის შესახებ დრო გამოშვებით ცნობები მიაწოდოს როგორც საქართველოს რევკომს, ისე პრესას.

საქართველოს რევკომის თავმჯდომარეს მახარაძეს, უმაღლეს სამეურნეო სახალხო საბჭოს თავმჯდომარეს

(დეპეშა თელავიდან)

თელავის ეკონომიური განყოფილება გილოცავთ საბჭოთა ნავთის ამოღების პირველ შედეგს სოფელ ზემოხოდაშენში ხვრელში № 4 აღმოჩნდა ინტენსიური დენა მჩქეფარე ნავთისა, ამოღებულია სულ 25 ფუთი. ნავთის ამოღება შეჩერებულია ჭურჭლის უქონლობის გამო რის გაკეთებასაც საჩქაროთ შეუდექით.

ეკონომიური განყოფილების თავმჯდომარე შირინიანცი.

განსაზღვრულ მრეწველობათა სამმართველო.

განსაზღვრულ მრეწველობათა დებულების გამოსამუშავებლათ ს. მ. უ. სა. პრეზიდიუმს წევრს ამხ. კიკნაძეს დაევალა მოიწვიოს სპეციალური კომისია.

რეგისტრაცია.

საწარმოვო და სამრეწველო ამხანაგობათა რეგისტრაცია დაევალა ს. მ. უ. ს. საიურისკონსულტო ნაწილის საადმინისტრაციო განყოფილებას, რომელსაც ამავე დროს დაევალა საჩქაროდ გამოიმუშაოს შესაფერი ინსტრუქცია და დებულება ზემო აღნიშნულ როგორც არსებულ, აგრეთვე იმ ამხანაგობათა შესახებ, რომელნიც მომავალში აღმოცენდება.

შეშის დამზადების უფლება.

საქართველოს ს. ს. რ. ს. მ. უ. ს. დადგენილების თანახმად, ყველა სახელმწიფო დაწესებულებას და საზოგადო ორგანიზაციას სრული უფლება ეძლევა დამოუკიდებლად შეუდგეს ზამთრისათვის შეშის დამზადებას. ყველა დაწესებულებამ ამის შესახებ უნდა მიმართოს ს. მ. უ. ს. სატყეო განყოფილებას. სერგიევის ქუჩა № 1.

ხე-ტყის სახერხავი ქარხნები.

მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატმა, მიიღო რა მხედველობაში ბორჯომის სახალხო ძვირფას მამულების ხე-ტყის სახერხავ ქარხნის მდგომარეობა დაადგინა მიაწოდოს ხე-ტყის ქარხნებს პირველ რიგში ნედლი მასალა, თბილისის ხე-ტყის სახერხავ ქარხნებისათვის კი ნედლი მასალა მოიტანოს სხვა რაიონებიდან—ატენისა, საგურამოსა და ჯიახიდან.

საფუტკრის ყიდვა.

მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა, შეიძინოს ყოფილ საქ. საზოგ. „კავკასიის სასოფლო მეურნეობის მრეწველობის" საფუტკრე, ხუტორ ოლგინსკში 12,000,000 მანეთად.

მატყლის სარეცხი დაწესებულება.

მატყლის სარეცხავ დაწესებულებათა საქმეების გასაცნობათ დონის როსტოვში იგზავნება ინჟინერი ს. ა. მოსკალევი.

თბილისის ქალაქის რევკომში

ა. წ. 20 ივნისს თბილისის ქალაქის რევკომის პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი საკითხი, მაგალითად მუშების და მოსამსახურეთა მიერ წყალსადენის წყლით, აბანოებით და ტრამვაით სარგებლობის შესახებ. აბანოთი სარგებლობის შესახებ დადგენილი იქნა:

ქალაქის მცხოვრებთა დღითი დღე გამრავლების გამო, და მოარული სენის წინააღმდეგ საბრძოლველად, დაუყონებლივ უნდა გაიხსნას ყველა აბანო საზოგადო სარგებლობისათვის, და აღძრულ იქნეს შუამდგომლობა ყოველ დღიურად აბანოების საჭიროებისათვის გაღებულ იქნეს 200 ფუთი ნავთი; ამას გარდა აბანოებში მოსამსახურეთა რიცხვის სიმცირის გამო, შემოღებულ იქნეს ზედმეტი მუშაობა ორი დასვენებით. წყლის სარგებლობის საკითხის შესახებ. ქალაქის რევკომმა, მიიღო რა მხედველობაში საბჭოთა აღმშენებლობის მოთხოვნილება, აგრეთვე ისიც, რომ შესაძლებელია მოარული სენის გავრცელება, დაადგინა ნება მიეცეს ქალაქის ყველა მცხოვრებლებს ასარგებლოს წყლით უფასოდ, მიეცეს რა წინადადება წყალსადენის უფროსს წყლის რაოდენობა მაქსიმუმამდე აიყვანოს, სამხედრო დაწესებულებათ კი მიეცეს წინადადება მოიმარაგოს წყალი ღამით, რომ შესაძლებელი გახდეს სხვა რაიონებს თანაბრათ დაუნაწილონ წყალი.

ტრამვაის შესახებ დაადგინეს: ვინაიდან, როგორც მაგისტრალის ხაზი ტრამვაის გზის, აგრეთვე ტრამვაის ვაგონები საჭიროებენ შეკეთებას კაპიტალურს, შეწყდეს საერთო მოძრაობა ტრამვაის და დაიწყოს შეკეთება როგორც გზის, აგრეთვე ვაგონების; ამ მუშაობის დროს გაგრძელებულ იქნეს მხოლოდ ნაწილობრივი მოძრაობა იმ პირების გადასაყვანად, რომლებიც ფიზიკურ მუშაობას სწევენ დილით და საღამოს. ყველა დადგენილება წარედგინა დასამტკიცებლად ს. ს. ს. რ. რევკომს.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი.

ს. ს. ს. რ. რევკომის მიერ დამტკიცებულია „დებულება მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებისა. თანახმად ამ დებულებისა, სასოფლო სამეურნეო განყოფილება შესდგება 6 ქვეგანყოფილებიდან: 1. აგრონომიული დახმარება, 2. საცდელი, 3 სასწავლო, 4. საგამომცემლო, 5. საწყლო, 6 შინა მრეწველობისა, და 5 სექციიდგან: ა) მინდვრის დამუშავების, თესვის და მოკრების ბ) ბაღოსნობის და ბოსტნეობის გ) მევენახეობის, დ) საქონლის გაშენებისა, მეაბრეშუმეობასთან, მეფუტკრეობასთან და საკვებ ბალახთან ერთად და ე) ცნობების შეკრებისა. ადგილობრივ კი სამაზრო აგრონომიული ორგანიზაცია აგრონომიულ დახმარების ქვეგანყოფილებასთან არის სასოფლო მეურნეობისათვის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, სასოფლო სამეურნეო მანქანების და იარაღის საწყობი, სასოფლო სამეურნეო მანქანების და იარაღის შემკეთებელი სახელოსნო, და სასოფლო სამეურნეო მუზეუმებით. ამ ქვეგანყოფილებას ექვემდებარება სამაზრო და სარაიონო აგრონომიული ორგანიზაცია. საცდელ ქვეგანყოფილების უწყებაში შედის თბილისის და ბათომის ბოტანიკური ბაღები ლაბორატორიები, საცდელი სადგურები და სხვა დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო სხვა და სხვა მეცნიერეთა მოწყობის დარგში. სასწავლო განყოფილება განაგებს სასოფლო სამეურნეო სხვა და სხვა სახის სკოლებს, მოღვაწეთა მოსამზადებლად, რომლებიც გაცნობილნი არიან სახალხო მეურნეობის მიწის დამუშავების ახალ ფორმებს. საგამომცემლო ქვეგანყოფილებასთან, რომელიც გამოსცემს სასოფლო მეურნეობის და სახალხო ჟურნალს, შედის წიგნების ცენტრალური საწყობი და მაღაზია, სასოფლო სამეურნეო ცენტრალური ბიბლიოთეკა, ბიბლიოგრაფიული ბიურო და შეკითხვის ბიურო, რომელიც ახდენს ყველა იმ ცნობების რეგისტრაციას, რომლებიც ეხებიან მიწის დამუშავებას და საზოგადოდ სოფლის ცხოვრებას. საწყლო ქვეგანყოფილების დანიშნულება არის, რესპუბლიკის წყლის პირობების და წყლის სიმდიდრის სისტემატიური და მიზან-შეწონილი შესწავლა, წყლით სარგებლობის ნორმის წესის და კანონების გამომუშავება, ადგილობრივ წყლით სწორ სარგებლობაზე, ზედამხედველობა, არსებულ სარწყაო სისტემების ექსპლოატაცია, მათი შეკეთება-შენახვა და აგრეთვე ახლად შექმნილ სარწყაო სისტემებისა, წყალდიდობასთან ბრძოლა და სხვა. შინა მრეწველობის ქვეგანყოფილებას მიზნად აქვს დასახული წვრილ შინა-მრეწველობისადმი დახმარების აღმოჩენა, ხელის შეწყობა და შინა-მრეწველებთან მჭიდრო კავშირის დაჭერა.

შეცთომის გასწორება.

ახალგაზრდობის ფურცელში გუშინდელ მეოთხე გვერდის 2 სვეტის 33 სტრიქონზე ქვევიდან სწერია: უნდა ყოფილიყო 1915 წ., უნდა იყოს: უნდა ყოფილიყო 1914 წ, იმავე გვერდზე მესამე სვეტის 52 სტრიქონზე ზევიდან სწერია: (1917 წ., უნდა იყოს: (1919 წ., იმავე სვეტის 71 სტრიქონზე ზევიდან სწერია; „საკუთარი ქვეყნის პროგრამას და.... უნდა იყოს: საკუთარი ქვეყნის კომპარტიის პროგრამას და...

ქრონიკა

სამართალის უბნები. ქალაქ თბილისის რევკომის პრეზიდიუმმა დაადგინა: დატოვოს თფილისში ძველი 22 სასამართლოს უბნით დანაწილება. ახლო ვადაში უნდა გაიხსნას 16 სახალხო მოსამართლის კამერა და სხ. (საგამომძიებლო უბანი).

◆ **ღვინოს გაყიდვა.** მიწად მოქმედების კომისარიატის კოლეგიამ საჭიროდ სცნო, თბილისის ღვინის სახალხო სარდაფიდან კოოპერატივების საშუალებით გამოუშვას გასაყიდად 5.000 ვედრო ღვინო.

◆ **ვეტერინალური-სანიტარული ნაწილი.** ს. ს. ს. რ. რევკომმა დაამტკიცა მიწად-მოქმედების კომისარიატის ვეტერინალურ-სანიტარულ განყოფილების დებულება და ამავე განყოფილების შტატები. დებულების თანახმად, მიწადმოქმედების კომისარიატს, მისი საქალაქო და სამაზრო რაიონულ ორგანოებით, მინდობილი აქვს მთელი ვეტერინალური საქმის მოგვარება რესპუბლიკაში. განყოფილება უნდა შესდგებოდეს სამი ქვეგანყოფილებისაგან: სამხედრო, ეპიზოტოლოგიური და სამკურნალო. სამაზრო განყოფილებებთან არსდება სამაზრო ვეტერინალურ სანიტარული ქვეგანყოფილებანი. ქალაქის რევკომებთან ან სათანადო ორგანოებთან მსხვილ ქალაქებში აგრეთვე არსდება ვეტერინალური განყოფილებანი.

◆ **ავანსი აგრონომიულ მუშაობისათვის.** მიწად მოქმედების სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა, გაიღოს 60 მილიონი მან. სამაზრო აგრონომებს შორის გასანაწილებლად, სასწრაფო მორიგ ხარჯების დასაფარავად ადგილობრივ აგრონომიულ სამუშაოს განხორციელებისათვის.

◆ **ბრძოლა ყაჩაღობასთან.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში მოსულ ცნობებით, სიღნაღის მაზრაში სამხედრო ხელისუფლები ივნისის 7 ს ყაჩაღების ბუდეს გარს შემოერტყნენ, რომელნიც ალაზანის მარცხენა ნაპირზე მძვინვარებდნენ. ზოგიერთი დაჭერილი ყაჩაღები გამოტყდნენ წითელარმიელების მკვლელობაში, ძარცვა გლეჯაში და სხ. ორი ყაჩაღთაგანი დაჭერის შემდეგ გაჩხრეკის დროს, მივარდნენ დარაჯებს ცულებით, მაგრამ იქმნენ მოკლულნი. მთელი ხალხი ამოწმებს დაჭერილ პირთა დანაშაულს. ამ ყაჩაღების დაჭერით, ალაზნის მარცხენა ნაპირზე ძარცვა-გლეჯა და ყაჩაღობა მოსპობილათ უნდა ჩაითვალოს. ზუგდიდიდან იტყობინებიან, რომ ივნისის 18 ს ოთხი მძიმე დამნაშავე ტუსაღის გადაყვანის დროს ზუგდიდიდან ქუთაისის ციხეში, გზაზე ზუგდიდიდან 7 ვერსზე ყაჩაღების ამხანაგები ჩაესაფრნენ იმ მიზნით, რომ მხლებლები ამოეხოცნათ და ტუსაღები გაენთავისუფლებინათ. დიდი სროლის შემდეგ ოთხივე ტუსაღი, რომლებიც სცდილობდნენ გაქცევას, მოკლულ იქმნა. ხელისუფლების მხრივ მსხვერპლი არაა.

თეატრი და ხელოვნება

აკადემიური თეატრი.

თბილისში აკადემიურ დრამატიულ თეატრის დასაარსებლად შემდგარია დასი მომავალ სეზონისათვის. პროექტი უკვე წარდგენილია სახალხო განათლების კომისარიატში დასამტკიცებლად. დასში შედიან აგრეთვე სხვა თეატრების მსახიობებიც. დასის დასაარსებლათ მუშაობა გასწია საგანგებო კომისიამ, რომელშიც შედიან: ამხ. ჯუკანოვისა, ერანოვისა და ერმოლოვისა—ბოროზდინი.

სეზონის დახურვა.

ყველა სახელმწიფოს თეატრში ოფიციალური სათეატრო სეზონი დამთავრდა.

სახელმწიფო ოპერა.

სახელმწიფო საოპერო თეატრში სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა დასის ახალი ძალებით შესავსებათ მომავალი საზამთრო სეზონისათვის. დასის შემადგენლობაში უკვე მიღებულია რამდენიმე ახალი ვოკალური ძალა. რის მეოხებითაც მომავალ ზამთარს სეზონში დაიდგმება ახალი ოპერები; აქ ჯერ კიდევ დაუდგმელი. ჩაწერა მომღერალთა გუნდში ნაყოფიერად მიმდინარეობს.

საქართველოს წითელ არმიაში

ენ მუშათა და გლეხთა წითელი ლეგიონი.

12 ივნისს, ენ მუშათა და გლეხთა ლეგიონის პოლიტიკურ ცხოვრების დაწვრილებით გასაცნობლათ, თფილისიდან თელავში ჩამოვიდა ენ მუშათა და გლეხთა ქართული დივიზიის ინსტრუქტორი პეტრე ქუთათელაძე. მან სხვათა შორის, რომ გაეგო სულის კვეთება და მათი დღევანდელი შეხედულება საბჭოთა საქართველოზე, მოიწვია ენ ლეგიონის უფროს შემადგენლობათა საერთო კრება. კრებას დაესწრო 30-ოფიცერი. ამხ. პ. ქუთათელაძემ მათ ვრცლად გაუკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტზე, შეეხო დიალექტურ მეთოდით ისტორიულ მატერიალიზმს და სთქვა, რომ სოციალიზმი, როგორც ისეთი, ისტორიული აუცილებლობაა, რომელიც უნდა მოხდეს ადრე თუ გვიან კაცობრიობის საკეთილ-დღეოთ, რაიც და რომლის უპირატესობა ყველა სხვა წესწყობილებაზე ასე მეცნიერულად დაამტკიცა ფილოსოფ-ეკონომისტებმა მარქსმა და ენგელსმა. შემდეგ მოკლედ შეეხო მსოფლიო ომის და რუსეთის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლიუციების დიდ მნიშვნელობას და ფართოდ ილაპარაკა საქართველოს საბჭოთა რუსეთისგან ჩამოშორებაზე, რითაც მოხდა ერთგვარი ღალატი სოციალისტურ რევოლიუციისადმი, რომელიც ჩაიდინეს ბ. ბ. მენშევიკებმა და სხვა. გააცნო საბჭოთა სისტემის უპირატესობა მუშათა კლასისთვის ყველა სხვა გვარ სისტემაზე და ფართოთ ესაუბრა საბჭოთა საქართველოსთვის წითელი არმიის მნიშვნელობაზე. დასასრულ აუხსნა მათ და განუმარტა, თუ რა დიდი ვალდებულება აწევთ მათ წითელ არმიელების გარდაქმნაში და მოუწოდა, რომ ყველა უფროსთა შემადგენლობამ დაწყებული უცროს აფიცრიდან გათავებული ლეგიონის უფროსამდის შეუდგენ არმიის ფსიხოლოგიურად გარდაქმნას, რისთვისაც საჭიროა, რომ ისინი გაიმსჭვალონ დემოკრატიზმით; დაუახლოვდენ წითელ არმიელებს; აბაასონ მათ მათი დღევანდელ საჭირ-ბოროტო საკითხებზე და ეცადონ, რომ მათი დამოკიდებულება არმიელებისადმი იყვეს ძმობაზე, ამხანაგობაზე და თანასწორობაზე დაყრდნობილი.

დიდის ყურადღებით მოისმინეს ამხ. ქუთათელაძის მოხსენება ენ ლეგიონის ოფიცრებმა, რის შემდეგ იყო შეკითხვები, რაზედაც სათანადო, ყველასთვის დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა ამხ. მომხსენებელმა.

დასასრულ ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„ჩვენ, მუშათა და გლეხთა ენ ლეგიონის უფროს შემადგენლობათა კრებამ ლეგიონის უფროსის თანდასწრებით, მოვისმინეთ რა მოხსენება თბილისიდან ჩამოსულ ენ დივიზიის ინსტრუქტორის ამხ. პეტრე ქუთათელაძისა, როგორც მომენტზე ისე საბჭოთა მთავრობის მიერ ჩვენზე დაკისრებულ ვალდებულებათა კეთილ-სინდისიერად ასრულებაზე, ვადგენთ, რომ სრული ჩვენი ძალღონით უჭერთ მხარს დღევანდელ მუშათა და გლეხთა მთავრობას და ვეცდებით, რომ ყველა ის დავალებანი რომლებიც დაკისრებული გვაქვს ჩვენ, შევასრულოთ პირნათლად, რომ ამით მტკიცე საბუძველი ჩაუყაროთ ახალგაზრდა წითელი არმიის შედგენას საბჭოთა საქართველოს საკეთილდღეოთ და გასამტკიცებლათ". საჭიროა, რომ ასეთი მოხსენებები ხშირად კეთდებოდეს ჩვენი დივიზიის სხვა და სხვა ნაწილების უფროსთა შემადგენლობის კრებაზე, რომ მათ ნათლად წარმოიდგინონ, როგორც სიდიადე დღევანდელ მომენტისა, ისე თავისი ვალდებულება დავალებანი, რომ უფრო მეტი ენერგიით შეძლონ კეთილ-სინდისიერად ასრულება თავთავიანთი სამსახურის საქმეებისა.

პანი.

პარტიული ცხოვრება

ქ. სამტრედია.

ხუთშაბათს, 16 ივნისს მოხდა კრება ქალაქის კომიაჩეიკისა. დაესწრო 38 წევრი და კანდიდატი. თავმჯდ. აირჩიეს ილ. სტურუა, მდ. ს. კ—ლი.

დღის წესრიგი. 1) მოხსენება ამხ. ი. ახობაძისა, 2) შაბათობის შესახებ. 3)

სამხედრო კომ-რაზმის შესახებ, და 4) მიმდინარე კითხვები. პირველ კითხვაზე გააკეთა მოხსენება ახობაძემ, რომელმაც აღნიშნა—მუშაობა პარტკომისა, დაარსებული ახალი განყოფილებები. 1) სააგიტაციო და საორგანიზაციო განყოფილების გამგეთ არის ი. ახობაძე, 2) საინფორმაციო და სასტატისტიკო გამგეთ ს. კ—ლი. 3) საპროპაგანდო გამგეთ შ. ჩხაიძე. სამხედრო განყ. გამგეთ ილ. სტურუა. ქალთა განყ. გამგეთ. ოლა სტურუა. ასე და ამრიგათ ყველა განყოფილებებში ფიცხელი მუშაობა სწარმოებს, და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ აპარატი აწი მეტათ იქნება ჩაბმული მუშაობაში და დაკავშირებული პროვინციელი ამხანაგებთან. ნამდვილ წევრების რიცხვი სამტრედიის რაიონისა 444. და კანდიდატებისა 319. მოხსენების შესახებ იყო კამათი, რომ პარტკომი არა თუ ვერ აქცევს ყურადღებას პროვინციელ კომიჩეიკებს და რევკომებს, სადაც აუარებელ შეცდომებს ჩადიან ისინიო, აგრეთვე ვერ არის დაყენებული წიგნების და გაზეთების გავრცელება პროვინციებში და სხვა. მომხსენებელმა უპასუხა, რომ წიგნების და ჟურნალ-გაზეთების საქმე აგიტ-პუნქტიდან უკვე ხუთი დღეა ჩვენს ხელში გადმოვიდა და აწი იმ შეცდომებს არ ექნება ალაგი, რასაც ქონდათ. ეს საქმე ჩაბარებული აქვს ამხ. ს. ზამთარაძეს. კრებამ გამოთქვა სურვილი სამრაიპარტკომი მეტათ დაუკავშირდეს სოფლის კომბიუროებს და იქონიოს მათთან მუდმივი დამოკიდებულება, აგრეთვე აღნიშნა სისუსტე პროპაგანდებისა, და არ ყოლა ასეთებისა—რაიონში; დაევალა პარტკომს ეს საქმე სამაზრო კომიტეტთან ერთად მოაწესრიგოს, რომ იქნას სამტრედიაში პარტიული კურსები. შაბათობის შესახებ მოხსენება გააკეთა ილ. სტურუამ, რომელმაც აღნიშნა ის ენტუზიაზმი, რომელსაც პირველ ხანებში იჩენდენ ამხანაგები, მხოლოთ შემდეგ და შემდეგ განელდა და ორჯელ იყო დანიშნული შაბათობა და ამხანაგების ძალიან ნაკლები რიცხვი გამოცხადდა. კრებამ დაადგინა ასეთებს არ ექნეს შემდეგ ადგილი რომ შაბათობაში მონაწილეობას იღებდენ როგორც კომუნისტები ისე თანამშრომელნი.

კომრაზმის შესახებ მოხსენება გააკეთა ი. სტურუამ, რომელმაც გააცნო კრებას თუ რამდენიმე დღეს იარაღის ქვეშ სამტრედიაში და მის რაიონში, ყოველ კვირა დღეს აქვთ სწავლა დილის 8 ს. 12 საათამდის, შემდეგ გაირჩა წვრილმანი კითხვები და კრება დაიშალა.

ხან—კანი.

დ. სუფსა.

1921 წ. 9 ივანობისათვის დ. სუფსაში შესდგა კომპარტიის რაიონულ დელეგატთა კონფერენცია.

დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები:

1. მიმდინარე მომენტი.
2. რაიონულ კომიტეტის არჩევნები.

მომენტზე მოხსენება გააკეთა ამხ. კოწია გურგენაძემ, რომელმაც ვრცლად გააშუქა დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა და ხაზი გაუსვა რუსეთის რევოლიუციის მსვლელობას. მან აღნიშნა მძიმე და აუტანელი პირობები, რომელიც გადალახა რუსეთის მძლეთა მძლე პროლეტარიატმა, რომელიც არ ზოგავს არც ენერგიას, არც მსხვერპლს, რომ საბოლოო გამარჯვებას მიაღწიოს. ამის შემდეგ მომხსენებელი შეეხო ქართველი ხალხის ცხოვრებაში განსაკუთრებულ პირობებს, რომელთა მიხედვით საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობა მიმართავს სამოქმედო გეზს, რომ ამ გზით იგი შესძლებს საქმით დაუმტკიცოს ქართველ მშრომელ ხალხს, თუ ვინ არის მისი მტერი და მოყვარე. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა წინადადება გაეგზავნოს საქართველოს რევკომს და ცენტრალურ კომიტეტს შემდეგი შინაარსის მისალმების დეპეშა:

კომპარტიის სუფსის რაიონულ დელეგატთა კონფერენცია აღფრთოვანებით მიესალმება საქართველოს რევკომს და ცენტრალურ კომიტეტს და იმედს გამოსთქვამს, რომ მიუხედავად ისტორიაში ჯერ არნახულ დაბრკოლებებისა, ის ერთხელ შემდგარ სოციალისტურ აღმშენებლობით გზაზე გამოიჩენს მაქსიმუმს ენერგიისას და მიიტანს რევოლიუციის სამსხვერპლოზე ყველაფერს, რათა განამტკიცოს საბჭოთა ხელისუფლება და ქვეყანა შრომის მეუფება.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის ბელადს ამხ ლენინს.

სალამი მუშების და გლეხების ბელადებს ამხ. მ. ცხაკაიას და ფ. მახარაძეს.

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს.

ამის შემდეგ მოხდა რაიონულ კომიტეტის არჩევნები.

კომიტეტში არჩეულ იქნა ხუთი ამხანაგი.

პასუხისმგებელ მდივნად დანიშნული იყო ამხ. ოტია კომახიძე.

კრებამ აირჩია დანარჩენი ოთხი წევრი: მელენტი ანდღულაძე, დიმიტრი ძეგრელაძე, იასონ სარიშვილი, ვასო ჯიჯიშვილი.

კომახიძე.

ს. გეჯეთი.

სოფელ გეჯეთში იქნა მოწვეული კომიჩეიკის წევრთა კრება. კრებას დაესწრენ ყველა წევრები რიცხვით 40 კაცისაგან შემდგარი და მასთან ძველი ამხანაგები 10 კაცი. მოხსენება გააკეთა ამხ. ალ. ოჩიგავამ საერთაშორისო მიმდინარე მომენტის შესახებ და კომიჩეიკის ხელმძღვანელის შესახებ. მოხსენების შემდეგ კრება კმაყოფილი დარჩა. მიღებული იქნა რეზოლიუცია: ჩვენ უკანასკნელ ფიცს ვსდებთ მთავრობის წინაშე უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დავიცვათ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა მთავრობა იარაღით ხელში. ჩვენ მოვალენი ვართ ერთგულად ჩვენ ძმებთან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებული ერთად წავიდეთ კომუნიზმისაკენ.

იონა.

პროფესიონალურ კავშირებში

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში.

18 ივნისს მოხდა პირველი სხდომა ახლად არჩეული საქართველოს პროფესიონალური კავშირის საბჭოსი. საბჭომ გამოჰყო პრეზიდიუმი 7 კაცისაგან: თავჯდომარეთ—დუმბაძე, პასუხისმგებელი მდივანი ყურულაშვილი, თავჯდომარის ამხანაგი—ოდილავაძე, სახალხო შრომის განყოფილების გამგეთ—ჯოლია, ეკონომიური განყოფილების გამგეთ—ვირაპი, ოდილავაძე—შრომის საორგანიზაციო და საინსტრუქციო განყოფილების გამგეთ, მომარაგების ქვეგანყოფილების გამგეთ—მაშკევიჩი და სახალხო მეურნეობის საბჭოს თავჯდომარის მოადგილეთ—კიკნაძე. სარედაქციო საგამომცემლო განყოფილების გამგეთ დაინიშნა ამხ. ჩუცუბიძე, კულტურული განყოფილების გამგეთ დროებით ამხ. ედელსონი, სტატისტიკის განყოფილების გამგეთ ამხ. მატვეევი, ფინანსიური განყოფილების გამგეთ—ამხ. საზუღლიანი.

რაიონულ ბიუროსათვის საფინანსო დახმარების საკითხის შესახებ საბჭომ გადასწყვიტა, ყრილობათა მოწვევის და ცენტრალურ გამგეობათა მოწყობის საჭიროების მიხედვით, ფინანსიური დახმარება გაუწიოს, რაიონის და მაზრის პროფესიონალურ კავშირების საშუალებით. შემდეგ საორგანიზაციო, საინსტრუქტორო განყოფილებას საბჭომ დაავალა საჩქაროთ შეადგინოს საქართველოს მასშტაბით მწარმოებელ კავშირთა ცალკე ყრილობების მოწვევას.

პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ დაამტკიცა ქუთაისის პროფესიონალური კავშირთა რაიონული საბჭო: გახოკია, სულავა, მიქაძე, ჩხეიძე, გაჩეჩილაძე, გიგაური, საგარეიშვილი და ლოსაბერიძის შემადგენლობით.

დაბალთა წარმოებითი პროფკავშირის მოქმედება სამი თვის განმავლობაში (ა. წ. 1 ივნისამდე).

კავშირის წევრთა ხელახალი რეგისტრაციით გამოირკვა, რომ 1 ივნისისათვის წევრათ ირიცხება კავშირში 3,000 კაცი.

კავშირმა გააერთიანა 28 წარმოება, რომელთა რიცხვშიც 9 მსხვილი წარმოება გამოცხადებულია სახელმწიფოს საკუთრებათ და 19 წვრილი კი არა. ამ წარმოებებთან მოწყობილია 12 საქარხნო და 10 ადგილობრივი კომიტეტი.

საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილებამ პროვინციაში გაგზავნა ინსტრუქტორები, ცენტრთან ადგილობრივ კავშირის მოსაწყობათ.

დაბალთა წარმოებითი პროფკავშირი დაარსებულია: ბათომში, ქუთაისში, გორის მაზრაში, თელავში და ფოთში, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ დაბალთა პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობასთან.

ივლისის პირველ რიცხვებში თბილისში მოწვეულ იქნება საქართველოს დაბალთა პროფკავშირის კონფერენცია, რომლის მიზანია ტყავეულობის წარმოების გაერთიანება და დაბალთა კავშირის ერთ მთლიან ერთეულათ გამტკიცება.

მარტის პირველს მომხდარ კავშირის წევრთა რეგისტრაციის დროს კავშირში ირიცხებოდა 600 უმუშევარი წევრი. 1 ივნისიდან კი კავშირში აღარ იყო არც ერთი უმუშევარი წევრი, ყველა უმუშევარი განაწილებულ იქნენ სამუშაოთ საბჭოთა სახელოსნოებში.

მარტის 8-ს დაარსდა საბჭოთა ფეხსაცმელის პირველი სახელოსნო, სადაც პირველ ხანებში მუშაობდა 20 ხელოსანი, 1 ივნისამდე ხელოსანთა რიცხვი ავიდა 120-მდე. საბჭოთა ფეხსაცმელების პირველ სახელოსნოში ერთ თვეში დამზადებულია 1000 წყვილი ახალი ფეხსაცმელი, პირველ ივნისამდე საბჭოთა ყველა ქარხნებში და სახელოსნოებში დამზადებულია 15 000 წყვილზე მეტი ახალი ფეხსაცმელი.

დაბალთა პროფკავშირთან დაარსებულია ეკონომიური განყოფილება, რომელმაც გახსნა 3 სასადილო, სადაც სადილობს 1550 წევრი. ორთაჭალის რაიონში გახსნილია სარძეო ბუფეტი მუშათა ბავშვებისათვის, სადაც ღებულობენ ბავშვები (3 წლამდე) რძეს, დღეში 600 ჭიქას. ეკონომიურმა განყოფილებამ მიზნათ დაისახა, რათაც უნდა დაუჯდეს გაადიდოს ტყავეულობის წარმოების ნაყოფიერება. ამ მიზნის მისაღწევათ ყველა ქარხნებსა და სახელოსნოებში მუშებს უხსნიან მუშათა როლს მუშათა სახელმწიფოში და მუშათა აღდგენილობის საქმეში.

ტყავეულობის წარმოების ყველა ქარხანასა და სახელოსნოებში ერთხმად გამოიტანეს რეზოლიუცია, რომ უეჭველათ გაამძლიერონ ნაყოფიერება და თვეში ორჯერ გამართონ ხოლმე კვირაობა.

დაბალთა პროფკავშირის წევრების კულტურულ-განვითარების გასაფართოებლად კავშირმა პირველ დღეებშივე გამოჰყო კულტურული განყოფილება. ყოველ კვირა იმართებოდა ლექციები და მიტინგები. ორთაჭალის რაიონში მოეწყო მუშათა კლუბი. კავშირს ჰყავს ცენტრალურ მუშათა კლუბის წევრათ 800 კაცი, სახალხო უნივერსიტეტებში ჩაწერილია 300 წევრი, მიღებულია ზომები წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად. კავშირის წევრთა ბავშვებისათვის იმართება საბავშვო დილის წარმოდგენები, ორთაჭალის რაიონში მოწყობილია საბავშვო მოედანი. შრომის დასაცავად დაარსებული შრომის დაცვის „იაჩეიკა", მუშათა ჰიგიენურ პირობათა გასაუმჯობესებლად. კავშირის განკარგულებაშია 7 სახლი, სადაც ასახლებენ დაბალ ხელოსნებს, რომელთაც ესაჭიროებათ ბინა, კავშირში არსებობს საკონფლიქტო კომისია. გაირჩა 25 კერძო წარმოების კონფლიქტი. კონფლიქტებს ჰქონდათ ეკონომიური ხასიათი და გადაწყდა მუშათა სასარგებლოთ.

ყველა ტყავეულობის წარმოებაში გატარებულია ახალი ჯამაგირები. ყველა წარმოებაში არის ფასების განმანაწილებელი 9 კომისია:

ჯამაგირებმა მუშა-მოსამსახურეთა შორის არ გამოიწვია დიდი უთანხმოება, მხოლოთ გამოსთქვეს სურვილი, რომ ფულის ნაცვლათ მიეცეთ საცხოვრებლათ საჭირო სურსათის მინიმუმი.

კავშირში მოწყობილია ყველა განყოფილება: საორგანიზაციო საინსტრუქტორო, სატარიფო სანორმო, ეკონომიური, შრომის დაცვის, და კულტურული.

1 ივნისამდი კავშირს ჰქონია შემოსავალი 2 222 819 მან.—ხარჯი 1.802.883 მან. პირველ ივნისისათვის დარჩა 419.936 მანეთი.

პროვინციაში

ქ. ზუგდიდი.

15 ივნისს მოხდა უპარტიო ქალთა კრება, სადაც თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა კობახიძისა, მდივნათ შენგელაია, კრების თავჯდომარემ მიულოცა დამსწრეთ დღევანდელი განსაკუთრებული მომენტი და ქალების სამუშაო ასპარეზზე გამოსვლა, რის შემდეგ მოხსენება გააკეთა ხუც. ქალთა განყოფილების გამგემ ამხ. თამარა საჯაიამ, რომელმაც საკმაოდ დაახასიათა ქალთა მოძრაობის ისტორია, რელიგიასა და კომუნიზმს შორის დამოკიდებულობა და ქალთა მიზანი. აგრეთვე მომხსენებელმა შეეხო იმასაც, თუ როგორ ზღუდავდა მენშევიკების მთავრობა ქალების შემოქმედებას, და როგორი უნდა იყოს საბჭოთა პროლეტარულ სახელმწიფოში ქალების პოლიტიკურ მუშაობის ასპარეზი. აგრეთვე მოუწოდა კრებას მსურველებმა ჩაეწერონ ქალთა ორგანიზაციაში. მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. თამარა საჯაიასი დაადგინა: მშრომელი ხალხთან ერთად მუშა ქალებიც განიცდიდენ ჩაგვრას და დამონავებას იმპერიალისტურ მთავრობების მიერ, მაგრამ დღეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით განთავისუფლებულნი მუშა ქალები ესალმებიან საბჭოთა მთავრობას და ფიცს სდებენ მის წინაშე სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იმუშაონ კომუნიზმის იდეის სფეროში მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ. რეზოლიუციის გამოტანის შემდეგ მსურველი ქალები ჩაეწერენ ორგანიზაციულ მუშაობის განყოფილებაში. და ამით კრება დასრულდა.

16 ივნისს მოხდა კოოპერატივ „ვარსკვლავის" წევრთა საერთო კრება, რომელზედაც თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ს. კაშილავა, მდივნათ თოლორაია. დღის წესრიგში იყო ბევრი საკითხები, მაგრამ, რადგანაც კრება მცირე რიცხოვანი აღმოჩნდა, კრებამ მიიღო დღის წესრიგიდან მხოლოდ ერთი სასწრაფო საკითხი, სახელდობრ დელეგატის არჩევა ზუგდიდის მაზრის კოოპერატივების რწმუნებულთა ყრილობის გასაგზავნათ. დასასრულ კრებამ აირჩია სამი დელეგატი: ს. კაშილავა, კ. ბუკია და მ. წულისკირი, აგრეთვე დაევალა ძველ გამგეობას ამ მოკლე ხანში მოწვეულ იქნას წევრთა ფართო კრება, სადაც გაირჩევა კოოპერატივის წარსული მოქმედებანი, და მომავალი მუშაობის გეგმა.

შორელი.

თელავი.

თელავის რევკომთან უკვე სავსებით მოეწყო სოც. უზრუნველყოფის განყოფილება, რომელმაც დაიწყო მოქმედება.

ამ განყოფილების კოლეგიის დადგენილებით განყ. გამგე მოსიაშვილი გაემგზავრა გაღმა სოფლებში სოც. უზრუნველყოფის პუნქტების დასაარსებლად. გზა და გზა ამხ. მოსიაშვილი მცხოვრებთ გააცნობს სოც უზრუნველყოფის დებულებას, რომ საჭიროების დროს შეეძლოთ სარგებლობა.

განყოფილებამ უკვე შეიმუშავა გეგმა მაზრის პუნქტებით გაყოფის შესახებ, რომელიც მოხსენებასთან ერთად წარადგინა სახალხო კომისარიატში დასამტკიცებლად. ამ გეგმის თანახმად მაზრაში 6 პუნქტი იქნება, თელავისა, ვაჩნაძიანისა, იყალთოსა, ენისლისა, ძველი-გავაზისა და ნაფარეულისა.

X.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 72.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილებით, ამხ. ბ. ე. ბიბინეიშვილი (ბარონი) დანიშნულია ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილეთ.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე

1921 წ. ივნისის 30

ტფილისი-სასახლე

ბრძანება № 157.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზედ თავის ნებით დაარსებული ყველა რევტრიბუნალი გაუქმდეს და საქმეები გადაეცეს ქუთაისის რევტრიბუნალს კუთვნილებისამებრ. ამ ბრძანების აღსრულება დაევალოს ქუთაისის რევტრიბუნალს.

იუსტიციის სახალხო კომისარი ს. ქავთარაძე.

მდივანი კოლეგიისა პ. გედევანიშვილი.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ვორონცოვის ქ. 136, თეატრი „[illegible]" ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—[illegible]

— მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible].

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

პარტიული

მე 4 რაიკომის პრეზიდიუმი აცხადებს, მე 4 რაიონის ყველა კომიჩეიკების მდივნების, ადგ. კომიტეტების, ფაბრკომის და ქარხკომის პარტიულ ამხანაგების საყურადღებოთ, რომ თანახმად ს. კ. პ. ტ. კ. აგიტ-განყოფილების დადგენილებისა, უპარტიო საერთო კრებების ადგილობრივად გამართვის შესახებ უნდა იცოდეს რაიკომმა და ასეთზე მას უნდა ატყობინებდნენ წინა დღით, ამასთან ოქმები საერთო კრებებისა უნდა წარედგინოს რაიკომის პრეზიდიუმს.

კვირას 3 ივლისს 10 საათზე დილით დანიშნულია საერთო კრება კომუნისტების და კანდიდატების სურსათზე მომუშავეთა მუშების პროფესიონალური კავშირის წევრებისა, კრება შესდგება მუშათა სასახლეში, გამგეობის ბინაზე, მე 3 სართული ოთახი № 28. დასწრება ყველასათვის აუცილებელია.

ფრაქციის ბიურო.

სხვა და სხვა

— თბილისის მაზრის რევკომის შენობის დაწვის დროს დაიკარგა ამავე რევკომის ბეჭედი და შტამპი, ამის გამო ყოველივე მოწმობები და საბუთები, გაცემული რევკომის მიერ ა. წ. პირველ ივლისამდე და შემოწმებული ხსენებული ბეჭდით, აქამომდე შეუსრულებელი ან ძალაში მყოფი, ამავე ბეჭედთან და შტამპთან ერთათ ჩაითვალოს გაუქმებულათ. წინადადება ეძლევა რევკომის ყველა თანამშრომელთა და კერძო პირთ, რომელთაც ასეთი საბუთები მოეპოვებათ, დაუყონებლივ გამოსცვალონ ამავე რევკომში.

თბ. მ. რ. თავმჯდომარე ი. მგელაძე.
მდივანი ვ. დონაძე.

— ქალაქ ტფილისის რევკომის სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩაწერის ქვეგანყოფილება ამით აცხადებს, რომ ბორის იაზონის ძე პეპნოვმა განაცხადა სურვილი შეცვლილი იქნეს მისი გვარი „საბლინის" გვარზე.

მმ. ჩ-ის გამგეს მაგ. ჯიმშერიშვილი.

— დაკარგულია აზერბეიჯანის კომუნისტურ პარტიის მიერ ერთიანი პარტიული ბილეთი, მიცემული ბაქოს ორგანიზაციის ლეილი მელიკ ალავერდოვის სახელზე.

— თბილისიდან ქუთაისში მგზავრობის დროს 25 ივნისს, ჯიბიდან ამომაცალეს სხვა და სხვა საბუთები და მათ შორის პარტიული წიგნაკი, მეორე რაიონიდან აღებული 1917 წ. № 3170. ვლადიმერ კალმაფარელოვის სახელზედ მიცემული, ითვლება გაუქმებულად.

— დუშეთის სამხედრო კომისარიატი ამით გაუქმებულათ აცხადებს ორ მანდატს, მიცემულს ზემოხსენებული კომისარიატიდგან ალექსანდრე კახიანის სახელობაზე ა. წ. 15 აპრილიდგან №№ 187 და 188.

სამხედრო კომისარი ადამიძე.

— დაკარგულია პირადობის მოწმობა, გაცემული თბილისის ხაზინის მიერ ხაზინადრის ვიქტორ მაქსიმეს-ძე ელიავას სახელზედ ამა წლის 28 აპრილის № 489, ითვლება გაბათილებულად.

— დავკარგე 17 ივნისს ტფილისის სადგურზე საფულე, რომელშიდაც მქონდა სამხედრო ბეგარის შესახებ მოწმობა № 3072. სახელ. უნივერ, მატრიკული № 2432, 100,000 მან., ორიგინალი და ფრანგ პოეტებიდან თარგმანი ლექსები.

შ. კარშელი.

— დავკარგე სამხედრო ბეგარის მოწმობა მოცემული ქ. ქუთაისში № 2021.

შალვა მიხ-ძე ჭირაქაძე.

— დაიკარგა პარტიული მანდატი თამარა ელენტის სახელზე, მიცემული ჩოხატაურის (გურია) ორგანიზაციიდან.

თბილისის მაზრის რევკომი

მომხდარ ცეცხლის შემდეგ, რუსთაველის პროსპექტიდან გადავიდა და მოთავსდა ყველა თავისი განყოფილებებით შემდეგ შენობებში: ბელიაის ქუჩა სახ. № 4 (ვაჟთა მეოთხე გიმნაზიაში): აქ მოთავსდნენ—რევკომის პრეზიდიუმი, შინაგან საქმეთა განყოფილება ყველა თავისი ქვე განყოფილებებით, საფინანსო და ტეხნიკური განყოფილებანი ხუთ მაღლა სართულში და მეორე სართულში—სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის განყოფილებანი.

მიხეილოვის პროსპექტი, ფოსტის გვერდით, ქალთა გიმნაზიის შენობაში მოთავსდნენ:

სოციალურ დახმარების, საადგილ-მამულო და სასურსათო განყოფილება და აგრეთვე მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

მაზრის მილიციის სამმართველო გადავიდა მიხეილის პროსპექტზე სახლი № 171.

ვთხოვთ მოქალაქეთ და ყველა დაწესებულებებს კორესპონდენციების გაგზავნის დროს და ცნობების მისაღებად იხელმძღვანელონ აღნიშნულ მისამართებით

თბილისის მაზრის რევკომი.

ქალაქის რევოლუც. კომიტეტის ჯანმრთელობის განყოფ. კბილის ქვე-განყოფილება

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში დანიშნულნი არიან რაიონული კბილის ექიმები, რათა ემსახურონ მუშებს, პროფესიონალურ კავშირს, საბჭოთა მოსამსახურეთ და მათ ოჯახობას და ამიტომ ცალკე კავშირებს და ცალკე უწყებებს, რომელთაც ჰყავთ თავიანთი კბილის ექიმები (მითვისებული ამა თუ იმ უწყებაზე) კბილის საექიმო ქვე განყოფილების ნება დაურთველათ წინადადება ეძლევათ დაითხოვონ იგინი სამსახურიდან და მოსამსახურენი კი, რომელნიც საჭიროებენ კბილის ექიმობას (ამისათვის საჭიროა ორდერის მიღება თავის უწყებიდგან) შეუძლიანთ მიმართონ ყველა რაიონის კბილის ექიმს, რომელთანაც ისურვებენ. პროფესიონალურ კავშირებს და საბჭოთა უწყებებს, რომელთაც ჯერ არ მიუღიათ ორდერები კბილის საექიმოთ, უნდა გამოგზავნონ თავიანთი რწმუნებული სათანადო მოწერილობით და მიიღონ ორდერები ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებიდგან კბილის საექიმო ქვე განყოფილებაში (გონოვის ქუჩა № 22).

კბილის საექ. ქვე განყ. გამგეს მაგ. მარგველაშვილი.
მდივანი პ. აბესაძე

ჟურნალი „ლახვარი"

ახლო მომავალში გამოვა სალიტერატურო და იუმორისტული ჟურნალი „ლახვარი".

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების საგიტაციო განყოფილებაში (ლორის—მელიქოვის ქ. № 5).

ტირაჟი 10,000
საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კრონშტადტის ქ. № 4.